პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

31 იანვარი პარასკევი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 49-ე წელი

№ 26 (14326)

გუშინ ჩვენმა ფოტოკორესპონდენტმა ბ. გოგოხიამ ეს სურათები თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკაში გადაიღო. სურათებზე აღბეჭდილნი არიან ფაბრიკის მოწინავე ადამიანები: წიწილების გასაზრდელი საამქროს № 1 ბრიგადის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი ვ. მამულაშვილი (მარცხნივ) და მეფრინველე ლ. ნათენაძე.

საბჭოთა კავშირ-სამხრეთ იემენის მოლაპარაკება

30 იანვარს კრემლში მეგობრულ ვითარებაში გაგრძელდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის დ. ს. პოლიანსკისა და სამხრეთ იემენის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტის კახტან მუჰამედ აშ-შააბის მოლაპარაკება.

ორი გემი ერთი გემბარიდან

ლენინგრადი. (საკდეს). საადმირალო ქარხანაში 29 იანვარს წყალში ჩაუშვეს ორი გემი: 5.400 ცხენისძალის სიმძლავრის ყინულმჭრელი და თხუთმეტი ათასი ტონა წყალწყვის მცურავი თევზის საკონსერვო ქარხანა „კრონიდ კორენოვი".

ახალ ყინულმჭრელს, რომელსაც ცურვის განუსაზღვრელი რაიონი აქვს, შეუძლია დაძლიოს ნახევარ მეტრამდე სისქის მთლიანი ყინულიანი საფარი. მცურავ ქარხანას, რომელსაც შორეული აღმოსავლეთის მებადურები მიიღებენ, უწოდეს შორეულ აღმოსავლეთში სამოქალაქო ომის წლების პარტიზანული მოძრაობის ერთ-ერთი ხელმძღვანელის სახელი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „სახალხო განათლების" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახალხო განათლებისა და ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის საქმეში დამსახურებისათვის, დაარსების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით გაზეთი „სახალხო განათლება" დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1969 წლის 30 იანვარი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციის თანამშრომელთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ქართულ საბჭოთა პრესაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, გაზეთ „სახალხო განათლების" დაარსების ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით, რედაქციის თანამშრომლები დაჯილდოვდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით:

1. ზაიძე ვასილ პეტრეს-ძე — რედაქტორის მოადგილე.
2. მელქოვი ალექსანდრე ისაკის-ძე — იურისკონსულტი.
3. საჯაია გრიგოლ პლატონის-ძე — გაზეთ „სახალხო განათლების" ყოფილი რედაქტორი.
4. სიმონიშვილი ვლადიმერ ილიას-ძე — რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი.
5. ფაილოძე ნათელა ილარიონის ასული — განყოფილების გამგე.
6. შველიძე ნიკოლოზ დავითის-ძე — რედაქტორი.
7. ჯაფოშვილი ივანე მიხეილის-ძე — მხატვარი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე

თბილისი, 1969 წლის 30 იანვარი.

ლენინურ შრომითს ვახტაზე

გადავაქციოთ მეფრინველეობა სოფლის მეურნეობის მოწინავე დარგად

საქართველოს მეფრინველეობის მრეწველობის სამმართველოს თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის მეფრინველეთა მიმართვა მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების, ფაბრიკების, საინკუბატორო სადგურებისა და საკოლმეურნეო მეფრინველეობის ფერმების ყველა მუშაკისადმი

ახლა, როცა ფართოდ გაჩაღდა მზადება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სოფლის მეურნეობის მშრომელები ენერგიას არ ზოგავენ იმისათვის, რომ მოიპოვონ ახალი, უფრო დიდი წარმატებები.

სოფლის მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეფრინველეობის განვითარებას სამრეწველო საფუძველზე. მეფრინველეობის ფართოდ განვითარებას დიდი ყურადღება მიაქცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის ოქტომბრის პლენუმმა. ამ პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა დადებითად შეაფასა მეფრინველეობაში მოპოვებული წარმატებანი, ამასთან ხაზი გაუსვა მისი ყოველმხრივი განვითარების სადღეისო საკითხებს.

მეფრინველეობის სამრეწველო საფუძველზე განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა განხორციელების გზით თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა ხუთწლედის მესამე წელი მნიშვნელოვანი შედეგებით დავამთავრეთ, შევასრულეთ გეგმით გათვალისწინებული ყველა მაჩვენებელი.

1 იანვრისათვის ფაბრიკაში ირიცხებოდა 310 ათასი ფრთა ფრინველი, ნაცვლად გათვალისწინებული 254 ათასისა (გეგმის 122 პროცენტი), მათ შორის მოქცეული — 119 ათასი, ნაცვლად 117,7 ათასი ფრთისა (გეგმის 101 პროცენტი).

კვერცხის საერთო წარმოების გეგმა შესრულდა 110 პროცენტით, წარმოებულია 18,8 მილიონი ცალი კვერცხი, ნაცვლად 17,2 მილიონი ცალისა; სახელმწიფოს მიეყიდა 17,5 მილიონი ცალი კვერცხი; ხორცი — 470 ტონა, ნაცვლად 460 ტონისა. საშუალოდ ერთ მოქცეულზე მიღებულია 173 ცალი კვერცხი, გეგმაზე 35 ცალით მეტი.

ფრინველის პროდუქტიულობის ზრდასა და პროდუქციის წარმოების გადიდებასთან ერთად მკვეთრად შემცირდა წარმოებულ პროდუქციაზე როგორც შრომისა და მატერიალური დანახარჯები, ისე თვითღირებულება. გაიზარდა შრომის ნაყოფიერება. მაგალითად, 1 ცენტნერი ფრინველის ცოცხალი წონის თვითღირებულება 1967 წელთან შედარებით შემცირდა 22 მანეთით, ანუ 10 პროცენტით.

კვერცხისა და ხორცის წარმოების გადიდებამ განაპირობა ფაბრიკის რენტაბელობა. 1968 წელს მოგების გეგმა შესრულდა 160 პროცენტით. ფაბრიკამ მიიღო 450 ათასი მანეთი მოგება, ნაცვლად გათვალისწინებული 283 ათასი მანეთისა.

საწარმოო ბრიგადებმა, საამქროებმა და ცალკეულმა მეფრინველეებმა ფრინველის კვება-მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვის, შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ზოოვეტერინარული ღონისძიებების განხორციელებით გასულ წელს წარმოების მაღალ დონეს მიაღწიეს.

კვერცხისდების საამქროს № 2 ბრიგადამ, რომელსაც სათავეში უდგას კომუნისტი გაიოზ შიოლაშვილი, საშუალოდ ერთ მოქცეულზე მიიღო 182 ცალი კვერცხი და კვერცხის წარმოების წლიური გეგმა შეასრულა 115 პროცენტით. მეფრინველემ ლიზა ბექაურმა საშუალოდ ერთ მოქცეულზე მიიღო 208 ცალი კვერცხი, ლუბა ნათენაძემ — 207 ცალი და ლიზა მიქაუტაძემ — 206 ცალი.

ჩვენ, მეფრინველეობის ფაბრიკის მუშაკები, გულდასმით გავეცანით სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს, აგრეთვე ამას წინათ პრესაში გამოქვეყნებულ წითელწყაროს, სიღნაღის, ზუგდიდისა და ბოგდანოვკის რაიონების მეცხოველეთა მოწოდებას, ამის საფუძველზე ვიკისრეთ ახალი ვალდებულებანი ხუთწლედის დარჩენილი ორი წლისათვის.

ასეთია ჩვენი ვალდებულებანი:

1969 წელს ფრინველის საერთო სულადობას ავიყვანთ 315 ათას ფრთამდე, ნაცვლად გათვალისწინებული 295 ათასი ფრთისა; ინკუბატორში გამოვიყვანთ 800 ათას ფრთა წიწილას, ნაცვლად 700 ათასისა; საშუალოდ ერთ მოქცეულზე მივიღებთ 174 ცალ კვერცხს; ვაწარმოებთ 19,5 მილიონ ცალ კვერცხს, ნაცვლად 19 მილიონისა; სახელმწიფოს ჩავაბარებთ 18,5 მილიონ ცალ კვერცხს, ნაცვლად 18 მილიონისა და 520 ტონა ხორცს, ნაცვლად 500 ტონისა. ფრინველის საერთო სულადობას შევინარჩუნებთ 94 პროცენტით.

ერთი ცენტნერი ფრინველის ცოცხალი წონის მატების თვითღირებულებას შევამცირებთ 6 პროცენტით, ხოლო 1.000 ცალი კვერცხის თვითღირებულებას — 5 პროცენტით. ერთი კილოგრამი ხორცის წარმოებაზე საკვების ხარჯვას შევამცირებთ 1 საკვები ერთეულით, ხოლო 10 ცალი კვერცხის წარმოებაზე — 0,5 საკვები ერთეულით. წელს მივიღებთ 500 ათას მანეთ მოგებას.

1970 წელს ფრინველის საერთო სულადობას გავზრდით 330 ათას ფრთამდე, ნაცვლად 300 ათასისა, საშუალოდ ერთ მოქცეულზე მივიღებთ 176 ცალ კვერცხს, ვაწარმოებთ 20 მილიონ ცალ კვერცხს, ნაცვლად 19,5 მილიონი ცალისა, სახელმწიფოს ჩავაბარებთ 19 მილიონ კვერცხს, ნაცვლად 18,5 მილიონისა და 530 ტონა ხორცს, ნაცვლად 510 ტონისა. მივიღებთ 600 ათას მანეთ მოგებას. ფრინველის ანარჩენი საკვების ხარჯზე ვიყოლიებთ 160 სულ ღორს და საშუალოდ თვითეულ დედალორზე მივიღებთ 14 გოჭს.

ამ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის კვლავ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ ფრინველის ჯიშობრივ გაუმჯობესებას; შემოვიყვანთ და გავამრავლებთ ფრინველის მაღალპროდუქტიულ ჯიშებს; ყველა ღონეს ვიხმართ ფრინველის სრულფასოვანი საკვები ულუფით უზრუნველსაყოფად; საფრინველეებში ფართოდ დავნერგავთ შრომატევადი საწარმოო პროცესების მექანიზაციას, წარმოებაში კი — შრომის ორგანიზაციისა და ნორმირების უახლეს, ეკონომიურად გამართლებულ ფორმებს; მტკიცედ დავიცავთ მუშაკთა მატერიალური დაინტერესების პრინციპებს; ყოველმხრივ გავაუმჯობესებთ ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს.

ზუსტად და მტკიცედ დავიცავთ საწიწილე-საფრინველეებში ზოოვეტერინარულ-პროფილაქტიკურ წესებს და მინიმუმამდე დავიყვანთ ფრინველის სიკვდილიანობას. მკვეთრად გავაუმჯობესებთ გამოშვებული პროდუქციის ხარისხს.

ხუთწლედის დარჩენილ ორ წელიწადში დამატებით ავაშენებთ გალიური ტიპის კვერცხმდებელი ფრინველის საამქროს 30 ათასი ფრთისათვის, რეკონსტრუქციას გავუკეთებთ 18 თაღური ტიპის საფრინველეს, საექსპლოატაციოდ გადავიყვანთ 5 აკლიმატიზატორს — თვითეულს 12 ათას ფრთაზე, I და II ასაკის საწიწილეში დავამონტაჟებთ მექანიზებულ ბატარიულ გალიებს, ავაშენებთ 60-ბინიან საცხოვრებელ სახლს, 4 კილომეტრ სიგრძეზე დაიგება ასფალტი, ხოლო 4 კილომეტრი გზა დაიფარება ხრეშით.

ფრინველის საკვები ულუფის ვიტამინებით გასამდიდრებლად დავთესავთ საკვებ გოგრას და ჭარხალს 20 ჰექტარზე, იონჯას — 50 ჰექტარზე, ბარდას — 10 ჰექტარზე, ჩავდებთ 300 ტონა კარგი ხარისხის სილოსს.

უფრო მაღალი ვალდებულებები იკისრეს საამქროებმა, ბრიგადებმა და ცალკეულმა მეფრინველეებმა.

წიწილების გასაზრდელი საამქროს № 1 ბრიგადის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა ვ. მამულაშვილმა იკისრა 1970 წლისათვის გასაზრდელად მიიღოს 900 ათასი წიწილა და შეინარჩუნოს 95 პროცენტით. კვერცხდების საამქროს მეფრინველემ კომუნისტმა ლუბა ნათენაძემ აიღო ვალდებულება მიიღოს ერთ მოქცეულზე 220 კვერცხი, ბაბულია აბესაძემ — 218 და სალომე ბექაურმა — 215 ცალი.

1970 წლიდან ფაბრიკა გადავა სრულ სამეურნეო ანგარიშზე, შესაბამისად სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანილი იქნება ფაბრიკის ყველა საამქრო, ბრიგადა და სხვა დამხმარე წამოწყებანი, რითაც კიდევ უფრო გაიზრდება წარმოების კულტურა და მუშაკთა მატერიალური დაინტერესება.

ფაბრიკის კოლექტივი იბრძოლებს კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელის მოპოვებისათვის.

ვიღებთ რა ახალ ვალდებულებებს, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევთ მოლდავეთის სს რესპუბლიკის დუბოსარის მეფრინველეობის ფაბრიკის კოლექტივს და პირობას ვდებთ მთელი ენერგიით, კომუნისტური მონდომებითა და სიყვარულით მოვკიდოთ ხელი მეფრინველეობის დარგის შემდგომი განვითარების საქმეს.

მოვუწოდებთ რესპუბლიკის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობებს, ფაბრიკებს, საინკუბატორო სადგურებს, საკოლმეურნეოთაშორისო ფერმებს და ყველა მეფრინველეს კიდევ უფრო მაღლა ასწიონ სოციალისტური შეჯიბრების დროშა, რათა წარმატებით შესრულდეს ნაკისრი ვალდებულებანი.

სასახელო მაჩვენებლებით შევხვდეთ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავს!

მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრების დავალებით:

ლ. ზერაძე, თბილისის მეფრინველეობის ფაბრიკის დირექტორი; **ა. შარაშენიძე**, ფაბრიკის პარტბიუროს მდივანი; **ლ. შენგელიძე**, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე; **ნ. წიკლაური**, კომკავშირის კომიტეტის მდივანი; **ვ. მამულაშვილი**, ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი; **ლ. ბექაური, ლ. ნათენაძე** — მოწინავე მეფრინველეები.

ჩვენი წინსვლის ციფრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

საქართველოს სსრ მშრომელებმა, გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, 1968 წელს — ხუთწლედის მესამე წელს — ახალი წარმატებანი მოიპოვეს ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

I. მრეწველობა

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა შესრულებულია 101 პროცენტით. 1967 წელთან შედარებით რეალიზებული პროდუქციის მოცულობა გაიზარდა 7 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მოცულობა — 8 პროცენტით.

რესპუბლიკის მრეწველობის უმნიშვნელოვანესი დარგების პროდუქციის გამოშვება 1967 წელთან შედარებით გადიდდა:

ელექტროენერგეტიკა	18 პროცენტით
სათბობის მრეწველობა	8 „
შავი და ფერადი მეტალურგია	3 „
ქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობა	12 „
ხე-ტყის, ხისდამმუშავებელი და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობა	6 „
საშენ მასალათა მრეწველობა	5 „
მსუბუქი მრეწველობა	10 „
აქედან საფეიქრო	8 „
კვების მრეწველობა	5 „
აქედან:	
ხორცისა	2 „
კარაქის, ყველისა და რძისა	8 „
მეღვინეობა	12 „
ჩაის მრეწველობა	3 „
თამბაქოს მრეწველობა	11 „

1968 წლის დამლევისათვის დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემით მუშაობდა 546 სამრეწველო საწარმო, რომლებმაც აწარმოეს მთელი სამრეწველო პროდუქციის 68 პროცენტი. პროდუქციის რეალიზაციის გეგმა ამ საწარმოებმა 102 პროცენტით შეასრულეს. ამ საწარმოთა წარმოების მოცულობა გასულ წელთან შედარებით გადიდდა 7 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება — 4 პროცენტით, მოგება — 9 პროცენტით.

პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულებასა და წარმოების ზრდის ტემპებს ცალკეულ სამინისტროებსა და უწყებებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი 1968 წელს	პროცენტობით 1967 წელთან შედარებით
ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველო	100,4	117
ქიმიური მრეწველობის სამმართველო	85	112
ხე-ტყისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	104	106
საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	87	98
მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	100,9	110
კვების მრეწველობის სამინისტრო	103	105
ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	104	104
ხილისა და ბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი	113	125
სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	126	91
ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	111	125
პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტი	103	99,5
კომუნალური მეურნეობის სამინისტრო	104	107
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტრო	105	124

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის წლიური გეგმა ქალაქ თბილისის საწარმოებმა შეასრულეს 102 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის საწარმოებმა — 105 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკის საწარმოებმა — 100,9 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საწარმოებმა — 107 პროცენტით. 1967 წელთან შედარებით მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდდა ქალაქ თბილისში — 8 პროცენტით, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 6 პროცენტით, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 5 პროცენტით, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — 7 პროცენტით.

ძირითად სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოებამ მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა:

	წარმოებულია 1968 წელს	1968 წელი პროცენტობით 1967 წელთან შედარებით
ელექტროენერგია (საერთო სარგებლობის ელექტროსადგურები და ბლოკსადგურები) — მილიონი კილოვატ-საათი	7722	116
მარგანეცის მადანი — ათასი ტონა	1708	71
ქვანახშირი — ათასი ტონა	2264	96
თუჯი — ათასი ტონა	862	103
ფოლადი — ათასი ტონა	1445	99,4
ნაგლინი — სულ ათასი ტონა	1205	103
აქედან მზა ნაგლინი	1164	102
ფოლადის მილები:		
მილიონი მეტრი	23	109
ათასი ტონა	440	104
კოქსი სულ — ათასი ტონა	680	104
მინერალური სასუქები (პირობითი ერთეულებით) — ათასი ტონა	527	104
სატვირთო ავტომობილები — ცალი	12132	125
ლითონსაჭრელი ჩარხები — ცალი	3826	95
ცემენტი — ათასი ტონა	1384	94
შიფერი — მილიონი პირობითი ფილა	63	101
ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციები და დეტალები — ათასი კუბური მეტრი ნაკეთობა	800	99.6
ქაღალდი — ათასი ტონა	30	96
ავეჯი — მილიონი მანეთისა	31	109
პიანინოები — ცალი	2879	56
სარეცხი მანქანები — ათასი ცალი	124	103
ბამბის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	49	94
შალის ქსოვილები — ათასი კვადრატული მეტრი	7361	112
აბრეშუმის ქსოვილები — მილიონი კვადრატული მეტრი	27	121
წინდა — ათასი წყვილი	16514	102
ტრიკოტაჟის საცვალი — ათასი ცალი	19357	101
ზედა ტრიკოტაჟი — ათასი ცალი	7188	113
ტყავის ფეხსაცმელი — ათასი წყვილი	13807	106
ხორცი* — ათასი ტონა	40	97
ყველი* — ათასი ტონა	12	104
კონსერვები — მილიონი პირობითი ქილა	161	117
მარგარინის ნაწარმი — ათასი ტონა	14	84
კარაქი* — ტონა	700	99
მცენარეული ზეთი — ათასი ტონა	12	125
მოუხდელი რძის პროდუქცია რძეზე გადაანგარიშებით — ათასი ტონა	81	110
ჩაი ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული — ათასი ტონა	22	131
ღვინო ყურძნისა* — მილიონი დეკალიტრი	12	105
შამპანური — მილიონი ბოთლი	9	108
პაპიროსი და სიგარეტი — მილიარდი ცალი	12	102

1967 წელთან შედარებით წარმოებულია მეტი: თუჯი — 29 ათასი ტონა, ნაგლინი — 31 ათასი ტონა, ფოლადის მილები — 15 ათასი ტონა, ელექტროენერგია — 1072 მილიონი კილოვატ-საათი, სატვირთო ავტომობილები — 2407 ცალი, მინერალური სასუქები — 20 ათასი ტონა, შიფერი — 923 ათასი ცალი პირობითი ფილა.

სახალხო მოხმარების საგნების წარმოება გაიზარდა: ყველა სახეობის ქსოვილები — 2,5 მილიონი კვადრატული მეტრი, ტრიკოტაჟის ნაწარმი — 954 ათასი ცალი, ტყავის ფეხსაცმელი — 796 ათასი წყვილი, ავეჯი — 2,4 მილიონი მანეთისა, სარეცხი მანქანები — 3635 ცალი, მცენარეული ზეთი — 2428 ტონა, კონსერვები — 23 მილიონი პირობითი ქილა, მოუხდელი რძის პროდუქცია — 7374 ტონა, ღვინო ყურძნისა — 603 ათასი დეკალიტრი, ნატურალური ხარისხოვანი დაფასოებული ჩაი — 5119 ტონა.

მოგება მთელ სახალხო მეურნეობაში 1968 წელს 1967 წელთან შედარებით გაიზარდა 17 პროცენტით, მრეწველობაში — 27 პროცენტით, აქედან სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის შედეგად — 22 პროცენტით.

შრომის ნაყოფიერების ზრდამ 1967 წელთან შედარებით მთლიანად რესპუბლიკასა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებულ მრეწველობაში შეადგინა 5 პროცენტი.

თუმცა წარმატებით შესრულდა მრეწველობის წლიური გეგმა, მაგრამ მთელმა რიგმა საწარმოებმა ვერ შეასრულეს პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, დაგროვებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმები. ვერ შესრულდა ლითონსაჭრელი ჩარხების, ქაღალდის, ცემენტის, საშენი აგურის, ბამბის ქსოვილებისა და ზოგიერთი სხვა ნაწარმის წარმოების წლიური გეგმა.

რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოები, სამშენებლო ორგანიზაციები, სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები და საპროექტო-საკონსტრუქტორო დაწესებულებანი კვლავაც მუშაობდნენ მაღალი წარმადობის თანამედროვე მანქანებისა და მოწყობილობის, უფრო ეკონომიურ მასალათა და ნაკეთობათა შექმნისა და წარმოების ათვისებისათვის; ამუშავებდნენ და ნერგავდნენ მოწინავე ტექნოლოგიურ პროცესებს. წარმოების კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, იწყოდნენ ახალ სახეობათა სამრეწველო პროდუქციის გამოშვების ათვისებას.

ტექნიკური პროგრესი ხორციელდებოდა გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა აქტიური მონაწილეობით.

სახალხო მეურნეობაში დაინერგა 13 ათასზე მეტი გამოგონება და რაციონალიზატორული წინადადება, რაც დაახლოებით 25 მილიონ მანეთ ეკონომიას იძლევა წელიწადზე გაანგარიშებით.

II. სოფლის მეურნეობა

1968 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში.

ხარისხოვანი ჩაის ფოთლის, ყურძნის, ხილის, მანდარინის, ფორთოხლის, დაფნის ფოთლის, მარცვლის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირას, კარტოფილის შესყიდვის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა. 1967 წელთან შედარებით მარცვლის შესყიდვა გაიზარდა 6 პროცენტით, აქედან ხორბლისა — 13 პროცენტით, მზესუმზირასი — 34 პროცენტით, ყურძნისა — 26 პროცენტით, ხილისა — 16 პროცენტით, ფორთოხლისა — 52 პროცენტით, დაფნის ფოთლისა — 25 პროცენტით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეასრულეს საშემოდგომო კულტურების თესვის გეგმა. გაშენდა 5.221 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 3.373 ჰექტარი ვენახები, 949 ჰექტარი ჩაის პლანტაციები, 741 ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავები, 350 ჰექტარი დაფნის ნარგავები.

პირობით ხვნაზე გადაყვანით შესრულდა 5.910 ათასი ჰექტარი ყველა სატრაქტორო სამუშაო, ანუ 9 პროცენტით მეტი, ვიდრე 1967 წელს. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუდგნენ საგაზაფხულო თესვისათვის მზადებას. 1969 წლის მოსავლისათვის მზრალად მოხნულია 162 ათასი ჰექტარი, 6 პროცენტით მეტი, ვიდრე 1967 წელს. შეკეთებულია გაცილებით მეტი ტრაქტორი, სასოფლო-სამეურნეო მანქანა, სატვირთო ავტომობილი, ვიდრე მეოთხე კვარტალის გეგმით იყო დასახული.

პირუტყვის სულადობამ 1 იანვრისათვის აღწერის მონაცემებით შეადგინა (ათასი სული):

	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.	1969 წ.
ყველა კატეგორიის მეურნეობანი				
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	1513,8	1580,4	1567,4	1500,9
აქედან ძროხა და ფურკამეჩი	607,7	632,7	632,8	608,1
ღორი	574,4	622,2	563,2	569,9

(დასასრული მე-2 გვერდზე).

---

*) კოლმეურნეობების წარმოებისა და მოსახლეობის შინწარმოების გარდა,

ჩვენი წინსვლის ციფრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1968 წლის სახელმწიფო გეგმის შესრულების შედეგების შესახებ

(დასასრული)

ცხვარი და თხა	2173,7	2283,2	2293,3	2084,1
კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო მეურნეობანი				
მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი	657,1	660,8	655,6	617,8
აქედან ძროხა და ფურკამეჩი	185,2	184,5	186,7	174,7
ღორი	231,6	239,9	233,0	233,5
ცხვარი და თხა	1398,9	1454,0	1451,4	1279,1

პირუტყვის აღწერის წინასწარი მონაცემებით 1969 წლის 1 იანვრისათვის მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ძირითადად შემცირდა მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობათა ხარჯზე. ცხვრისა და თხის სულადობა შემცირდა სახელმწიფოსათვის სულადობის ნაწილის ჩაბარების შედეგად ნოემბერ-დეკემბერში ჩრდილოეთ კავკასიის საზამთრო საძოვრებზე ცუდი ბალახთდგომის გამო. ღორის სულადობა გაიზარდა როგორც საზოგადოებრივ მეურნეობებში, ისე მოსახლეობის პირად დამხმარე მეურნეობებში.

გაიზარდა პირუტყვის პროდუქტიულობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რაც ჩანს შემდეგი მონაცემებიდან:

	1965 წ.	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.
ერთი ძროხის საშუალო წლიური წველადობა — კილოგრამი	1031	1058	1093	1172
ერთი მოქცეულის საშუალო წლიური მეკვერცხულობა — ცალი	109	109	111	122
ერთი ცხვრის საშუალო ნაპარსი — კილოგრამი	1,9	2,3	2,2	2,2

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებას ყველა კატეგორიის მეურნეობებში ახასიათებს შემდეგი მონაცემები:

	1961-1965 წწ. (საშუალო წლიური)	1966 წ.	1967 წ.	1968 წ. (წინასწარი მონაცემები)
ხორცი (დაკლული წონით) — ათასი ტონა	91,8	99,3	98,7	102,8
რძე — ათასი ტონა	460,9	492,4	505,3	506,9
კვერცხი — მილიონი ცალი	274,3	322,8	308,3	341,3
მატყლი — ათასი ტონა	4,5	5,1	5,3	5,4

მნიშვნელოვნად გაიზარდა მეცხოველეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა.

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვა ყველა კატეგორიის მეურნეობებში:

	1961-1965 წწ. (საშუალო წლიური)	1966 წ.	1967 წ.	1968 წ.
პირუტყვი და ფრინველი — ათასი ტონა ცოცხალი პირუტყვის წონით	53,4	58,5	58,9	63,9
რძე — ათასი ტონა	136,6	143,8	155,1	161,3
კვერცხი — მილიონი ცალი	75,2	93,4	104,9	118,6

მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვის სახელმწიფო გეგმა გადაჭარბებით შესრულდა.

კოლმეურნეობათა საერთო შემოსავალი 1967 წელთან შედარებით 2 პროცენტით გაიზარდა. მთლიანად საბჭოთა მეურნეობებმა წელიწადი მოგებით დაამთავრეს.

ამასთანავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში იყო ნაკლოვანებანი. მთელ რიგ რაიონებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა და პირუტყვის პროდუქტიულობა კვლავ დაბალია, ნელა იზრდება მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, კვლავ მაღალია პროდუქციის თვითღირებულება; საბჭოთა მეურნეობების ნაწილმა წელიწადი ზარალით დაამთავრა; არ იყენებდნენ შრომის ნაყოფიერების სწრაფად ზრდის ყველა შესაძლებლობას.

ხორციელდებოდა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით. განვლილ წელს სახელმწიფოსა და კოლმეურნეობების კაპიტალურმა დაბანდებებმა სოფლის მეურნეობაში შეადგინა 197 მილიონი მანეთი, ანუ 7 პროცენტით მეტი, ვიდრე 1967 წელს.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობამ მიიღო: 3038 ტრაქტორი ფიზიკური ერთეულებით, ანუ 5.777 15-ძალიანზე გაანგარიშებით, 1398 სატვირთო ავტომობილი, 255 მარცვლის ასაღები კომბაინი, 2046 ტრაქტორის გუთანი, 804 სათესი მანქანა, 863 კულტივატორი, 446 საოშავი მანქანა, 575 სათიბელა, 124 უნივერსალური სატვირთავი მანქანა, 61 დასაწვიმარი მანქანა, 230 მინერალური სასუქების მოსაბნევი მანქანა.

სოფლის მეურნეობამ მიიღო 487 ათასი ტონა მინერალური სასუქები, რაც 31 ათასი ტონით მეტია წინა წელთან შედარებით.

III. კაპიტალური მშენებლობა

სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა ხარჯზე ამოქმედდა ახალი საწარმოო სიმძლავრენი.

მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო საწარმოები: თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელი ქარხანა თბილისში, ასფალტ-ბეტონის ქარხანა გორში, პლასტმასის სანიტარულ-ტექნიკურ ნაკეთობათა ქარხანა თბილისში, წისქვილკომბინატი სოხუმში, რკინაბეტონის ნაკეთობათა პოლიგონი მარნეულში, აგრეთვე მთელი რიგი საამქროები და წარმოებანი მოქმედ საწარმოებში.

აშენდა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი საწარმოები და საწარმოო დანიშნულების სხვა ობიექტები.

ამოქმედდა: თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის 160 ათასი კილოვატი სიმძლავრის მე-5 ენერგობლოკი, 35 კილოვოლტი და მეტი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები, 0,4-10 კილოვატი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციისათვის, რომლებიც კოლმეურნეობათა სახსრებით შენდება; ტრანსფორმატორული დასაწევი ქვესადგურები, ორთქლის ქვაბები, საექსპლოატაციო ნავთობის ჭაბურღილები ნავთობტევადობანი, რადიომაუწყებლობისა და ავტომატური სატელეფონო სადგურები, საქსოვი დაზგები, მარცვლის არამექანიზებული საწყობები, მეფრინველეობის ფაბრიკები.

გაიზარდა მარგანეცის მადნის მომპოვებელი, აზოტმჟავას, პოლიოლეფინის ფირების, სატვირთო ავტომობილების ლითონის კონსტრუქციების, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების, ზედა ტრიკოტაჟის, ქაღალდის, ავეჯის, პურ-ფუნთუშეულის, ღვინის მასალების, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების საწარმოო სიმძლავრენი.

მწყობრში ჩადგა მეცხოველეობის სადგომები, მინერალური სასუქების შესანახი საწყობები, კარტოფილისა და ბოსტნეულის საცავები, სათბურები, კვალსათბურები. მნიშვნელოვანი სამუშაოები შესრულდა სასაძოვრე მიწების მორწყვის, ამოშრობისა და გაწყლიანებისათვის. ამასთანავე მთლიანად ვერ შესრულდა ზოგიერთი საწარმოო სიმძლავრის ამოქმედების გეგმა.

სახელმწიფო და კოოპერაციული საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ (გარდა კოლმეურნეობებისა) ამოქმედებულმა ძირითადმა ფონდებმა შეადგინა 645 მილიონი მანეთი და 1967 წელთან შედარებით 3 პროცენტით გაიზარდა. მაგრამ ძირითადი ფონდების ამოქმედების სახელმწიფო გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

1968 წელს სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა და ორგანიზაციათა კაპიტალური დაბანდებანი, მათ შორის კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის დანახარჯები, 1967 წელთან შედარებით გადიდდა 8 პროცენტით და შეადგინა 870 მილიონი მანეთი. კაპიტალურ დაბანდებათა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა წლიური გეგმა მთლიანად ვერ შესრულდა.

საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციათა **მოგება** გაიზარდა 2 პროცენტით.

1968 წელს რესპუბლიკის საიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებმა 1967 წელთან შედარებით საკუთარი ძალებით წარმოებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა გაზარდეს 4 პროცენტით.

IV. ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა

ამიერკავკასიის რკინიგზამ (საქართველოს სსრ ტერიტორიაზე) ტვირთების გაგზავნის წლიური გეგმა 101 პროცენტით შეასრულა, აქედან ქვანახშირისა — 102 პროცენტით, ნავთობის ტვირთებისა — 102 პროცენტით, შავი ლითონებისა — 105 პროცენტით, მინერალური სასუქებისა —80 პროცენტით.

საშუალო სადღეღამისო დატვირთვის წლიური გეგმა შესრულებულია 100,9 პროცენტით, საშუალო სადღეღამისო გადმოტვირთვისა —100,6 პროცენტით, სატვირთო ვაგონის ბრუნვის საშუალო დროის გეგმა — 101 პროცენტით. მაგრამ არ შესრულებულა სატვირთო მატარებლის საშუალო საუბნო სიჩქარისა და ერთ ტექნიკურ სადგურში და ერთი სატვირთო ოპერაციის დროს ვაგონების მოცდენის საშუალო დროის გეგმა.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს **საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტმა** 1968 წელს გადაზიდა 77 მილიონ ტონაზე მეტი ტვირთები, ამასთან შეასრულა ერთ მილიარდ ტონა-კილომეტრზე მეტი.

ტვირთზიდვის წლიური გეგმა შესრულდა 104 პროცენტით, 1967 წელთან შედარებით ტვირთზიდვა გაიზარდა 6 პროცენტით, ტვირთბრუნვა — 7 პროცენტით. ტვირთზიდვის საერთო მოცულობაში ცენტრალიზებულმა ტვირთზიდვამ შეადგინა 73 პროცენტი.

1968 წელს მთლიანად დამთავრდა საერთო სარგებლობის ყველა ავტომეურნეობის გადაყვანა დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალ მეთოდზე.

1968 წელს საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს ავტობუსებმა გადაიყვანეს 436 მილიონი მგზავრი და შეასრულეს 3,5 მილიარდი მგზავრ-კილომეტრი. 1967 წელთან შედარებით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 2 პროცენტით, მგზავრთბრუნვა გაიზარდა 5 პროცენტით. მაგრამ, მგზავრთა გადაყვანისა და მგზავრთბრუნვის წლიური გეგმა არ შესრულებულა.

მსუბუქი ტაქსმოტორების გამოყენების წლიური გეგმა შესრულდა 107 პროცენტით. 1967 წელთან შედარებით მათი მუშაობა 14 პროცენტით გაიზარდა.

თბილისის მეტროპოლიტენმა 1968 წელს გადაიყვანა 59,6 მილიონი მგზავრი, ანუ 2,3-ჯერ მეტი, ვიდრე 1967 წელს.

საქართველოს სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს **საჰაერო ტრანსპორტმა** გადაიყვანა 1,3 მილიონი მგზავრი და შეასრულა ერთ მილიარდზე მეტი მგზავრ-კილომეტრი 1967 წელთან შედარებით ავიატრანსპორტით მგზავრთა გადაყვანა გაიზარდა 15 პროცენტით, მგზავრთბრუნვა— 18 პროცენტით. მგზავრთა გადაყვანის წლიური გეგმა შესრულდა 104 პროცენტით, მგზავრთბრუნვის გეგმა — 106 პროცენტით.

საავტომობილო გზების სამინისტრომ საავტომობილო გზების (ადგილობრივი გზების გარდა) კაპიტალური რემონტის წლიური გეგმა სახარჯთაღრიცხვო ფასებში შეასრულა 102 პროცენტით, აქედან საკავშირო მნიშვნელობის გზებისა — 97 პროცენტით, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებისა — 104 პროცენტით. გზების საშუალო რემონტის წლიური გეგმა შესრულდა 108 პროცენტით, აქედან საკავშირო მნიშვნელობის გზებისა — 116 პროცენტით, რესპუბლიკური მნიშვნელობის გზებისა — 103 პროცენტით. 1967 წელთან შედარებით გზების რემონტი (კაპიტალური და საშუალო) რესპუბლიკაში 2 პროცენტით გაიზარდა.

მთლიანად ყველა სახეობის ტრანსპორტის **მოგების გეგმა** გადაჭარბებით შესრულდა. 1967 წელთან შედარებით მოგება გაიზარდა 5 პროცენტით.

1968 წელს გაიზარდა კავშირგაბმულობის საწარმოთა ქსელი. გაიხსნა კავშირგაბმულობის 40 ახალი განყოფილება. საქალაქო ავტომატური ტელეფონის სადგურების სიმძლავრე წელიწადში გაიზარდა დაახლოებით 9 ათასი ნომრით.

სოფლად საექსპლოატაციოდ გადაეცა 41 ავტომატური ტელეფონის სადგური; ყველა სასოფლო ავტომატური ტელეფონის სადგურის სიმძლავრე გაიზარდა 3,5 ათასი ნომრით.

საქალაქო ტელეფონის სადგურების სიმძლავრეთა მატების წლიური გეგმა შესრულდა 53 პროცენტით, ხოლო სასოფლო ავტომატური ტელეფონის სადგურებისა — 48 პროცენტით.

V. ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლება

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ **მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური რიცხვი** უდრიდა 1.360 ათას კაცს და წინა წელთან შედარებით 4 პროცენტით და მეტად გაიზარდა.

სკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შესაბამისად 1968 წლის 1 იანვრიდან სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მუშათა და მოსამსახურეთა ხელფასის მინიმალური ოდენობა გაიზარდა, თვეში 60 მანეთამდე, ხოლო ცალკეულ კატეგორიათა მუშაკებისა — 70 მანეთამდე.

სატარიფო განაკვეთები გაუდიდდათ სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მანქანათმშენებელი და ლითონდამმუშავებელი საწარმოებისა და საამქროების მუშა-მეჩარხეებს.

საშუალოდ 25 პროცენტით შემცირდა თვეში 61-80 მანეთის ოდენობის ხელფასის გადასახადი. პენსიები გაუდიდდათ ცალკეულ კატეგორიათა I და II ჯგუფების ომის ინვალიდებს, აგრეთვე პენსიის მინიმალური ოდენობა — ომის III ჯგუფის ინვალიდებს, პენსიის მინიმალური ოდენობა გაუდიდდათ კოლმეურნეობათა წევრებს — I და II ჯგუფების შრომის ინვალიდებს. 5 წლით შეუმცირდათ მოხუცებულობის გამო პენსიის დანიშვნისათვის საჭირო ასაკი ომის ინვალიდებს, ცალკეულ პროფესიათა მუშაკებს, რომლებიც შრომის გაზრდილი ინტენსივობის პირობებში მუშაობენ საფეიქრო მრეწველობაში, კოლმეურნეობათა წევრებს.

გაიზარდა დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების ოდენობა. 15 სამუშაო დღემდე გაუხანგრძლივდათ შვებულება იმ მუშებსა და მოსამსახურეებს, რომელთა შვებულების საერთო ხანგრძლივობა 12 სამუშაო დღე იყო.

მუშათა და მოსამსახურეთა **საშუალო თვიური ფულადი ხელფასი** წინა წელთან შედარებით გაიზარდა 6 პროცენტით და მეტად.

დახმარებამ და შეღავათებმა, რაც მოსახლეობამ მოხმარების საზოგადოებრივი ფონდებიდან მიიღო, შეადგინა დაახლოებით 842 მილიონი მანეთი და წინა წელთან შედარებით 6 პროცენტით გაიზარდა. ამ ფონდებით უზრუნველყოფილი იყო სოციალური დაზღვევა, უფასო სწავლება და სამედიცინო მომსახურება; სხვადასხვა დახმარება, პენსიები, სტიპენდიები, სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების უფასო ან შეღავათიანი საგზურები, შვებულების ანაზღაურება; საბავშვო ბაღებისა და ბაგების შენახვა და სოციალურ-კულტურული მომსახურების სხვა ფორმების უზრუნველყოფა.

მოსახლეობის ანაბრები შემნახველ სალაროებში ერთი წლის მანძილზე გაიზარდა 146 მილიონი მანეთით, ანუ 25 პროცენტით და 1969 წლის 1 იანვრისათვის 729 მილიონი მანეთი შეადგინა. ანაბრების რაოდენობა 948 ათასამდე გაიზარდა.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის **საცალო საქონელბრუნვის მოცულობამ** 1968 წელს შეადგინა 1932.4 მილიონი მანეთი და 1967 წელთან შედარებით შესადარ ფასებში გაიზარდა 160.1 მილიონი მანეთით, ანუ 9 პროცენტით. ამავე პერიოდში საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა გაიზარდა 19.7 მილიონი მანეთით, ანუ 8.6 პროცენტით. საცალო საქონელბრუნვა სამომხმარებლო კოოპერაციისა, რომელიც სოფლად ვაჭრობას ახორციელებს, გაიზარდა 58 მილიონი მანეთით, ანუ 10,7 პროცენტით. გარდა ამისა, გაიყიდა კოლმეურნეთაგან შესყიდული და კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ მიღებული 30,1 მილიონი მანეთის სასოფლო სამეურნეო პროდუქტები.

საცალო საქონელბრუნვის წლიური გეგმა მთლიანად რესპუბლიკაში შესრულდა 100.7 პროცენტით. გეგმის გადამეტებით მოსახლეობას მიეყიდა 12.4 მილიონი მანეთის საქონელი. ხუთწლედის სამ წელიწადში საცალო საქონელბრუნვის მოცულობა გაიზარდა 29 პროცენტით.

ცალკეული საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში შეიცვალა შემდეგნაირად:

	1968 წელს გაიყიდა პროცენტობით 1967 წელთან შედარებით
პური და პურ-ფუნთუშეული	97
ხორცი და ხორცის პროდუქტები	108
თევზი, ქაშაყი და სხვა თევზეული	108
კარაქი	109
მცენარეული ზეთი	105
რძე და რძის პროდუქტები	108
ყველი	124
კვერცხი	105
	გაიყიდა 1968 წელს პროცენტობით 1967 წელთან შედარებით
შაქარი	107
საკონდიტრო საქონელი	106
კარტოფილი	118
ბოსტნეული	107
ნაყოფი, ხილი, კენკრა და ბაღჩეული	147
უალკოჰოლო სასმელები	107
ბამბის ქსოვილები	99
შალის ქსოვილები	100
აბრეშუმის ქსოვილები	100
სელის ქსოვილები	122
შეკერილი საქონელი	119
ტრიკოტაჟის ნაწარმი	116
წინდები	108
ტყავის ფეხსაცმელი	114
საპონი	109
ავეჯი	113
მაცივრები	131
სარეცხი მანქანები	108
საათები	108
საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი	130
ველოსიპედები და მოტოციკლები	105
რადიოსაქონელი	110

მიუხედავად საქონელბრუნვის ზრდისა, მოსახლეობის მოთხოვნილება სახალხო მოხმარების ზოგიერთ საქონელზე, კერძოდ, ცალკეულ სახეობათა ტანსაცმელზე, ფეხსაცმელზე, სამშენ მასალებსა და ზოგიერთ სხვა საქონელზე სრულად ვერ კმაყოფილდებოდა.

საკოლმეურნეო ბაზრებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის მოცულობამ შეადგინა 183,5 მილიონი მანეთი და 2 პროცენტით შემცირდა 1967 წელთან შედარებით.

1968 წელს დიდი მასშტაბებით ხორციელდებოდა საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

სახელმწიფო და კოოპერაციულმა საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და მოსახლეობამ ქალაქად და სოფლად **საექსპლოატაციოდ გადასცეს 1.636 ათასი კვადრატული მეტრი საერთო (სასარგებლო) ფართობის საცხოვრებელი სახლები,** აქედან სახელმწიფო საბინაო მშენებლობაში, დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროებისა და საბინაო კოოპერაციის ჩათვლით — 666 ათასი კვადრატული მეტრი.

გასულ წელს გაფართოვდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი. საექსპლოატაციოდ გადაცემულია ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის შეკერვისა და რემონტის ატელიეები და სახელოსნოები, ქიმიური წმენდისა და ღებვის საწარმოები, მექანიზებული სამრეცხაოები, გასაქირავებელი პუნქტები და სხვა ობიექტები.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამუშაოთა მოცულობა რესპუბლიკაში გაიზარდა 24 პროცენტით, აქედან ქალაქად — 18 პროცენტით, სოფლად — 51 პროცენტით. საწარმოო ხასიათის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა წლის განმავლობაში გაიზარდა 28 პროცენტით, არასაწარმოო ხასიათისა — 14 პროცენტით. მაგრამ საყოფაცხოვრებო საწარმოთა ქსელი ჯერ კიდევ არ არის საკმარისი, განსაკუთრებით სოფლად. შესრულებულ სამუშაოთა ხარისხი და საყოფაცხოვრებო მომსახურების კულტურა ბევრ შემთხვევაში დაბალ დონეზეა.

შესრულდა რესპუბლიკის ქალაქებისა და სოფლების კეთილმოწყობის შემდგომი სამუშაოები. გასულ წელს გაზიფიცირებულია 80 ათასი ბინა, აქედან ქსელური გაზით — 17 ათასი ბინა.

მოპოვებულია შემდგომი მიღწევები სახალხო განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში.

რესპუბლიკაში ყველა სახეობის სწავლებაში ჩაბმულია ერთ მილიონ ასი ათასზე მეტი კაცი. ყველა სახეობის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობს 970 ათასზე მეტი კაცი. აქედან 54 ათასი განათლებას იღებს წარმოებისაგან მოუწყვეტლივ მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებსა და დაუსწრებელ სკოლებში. გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში სწავლობს 32 ათასზე მეტი კაცი — 23 პროცენტით მეტი, ვიდრე წინა წელს.

გასულ წელს რვაწლიანი სკოლა დაამთავრა 77 ათასზე მეტმა მოსწავლემ, ხოლო საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა — 58 ათასმდე კაცმა.

1968 წელს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის **მომზადებულია 22,4 ათასი უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სპეციალისტი, აქედან 11 ათასზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე.**

1968-1969 სასწავლო წლის დასაწყისისათვის უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღებულია 29.135 კაცი, აქედან უმაღლეს სასწავლებლებში — 13.808 კაცი და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 15.327 კაცი.

უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს 89 ათასზე მეტი კაცი, რაც სამი ათასით აღემატება წინა სასწავლო წლის რიცხვს, ხოლო საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 49 ათასი კაცი, ანუ ერთი ათასით მეტი.

პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებში 1968 წელს მომზადდა და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სამუშაოზე გაიგზავნა 17 ათასი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა. ინდივიდუალურ-ბრიგადული სწავლებისა და კურსებზე სწავლის გზით უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში ახალი პროფესიები შეისწავლა და კვალიფიკაცია აიმაღლა 130 ათასზე მეტმა კაცმა.

62 ათასზე მეტი ბავშვი და მოზარდი ზაფხულის განმავლობაში ისვენებდა პიონერთა ბანაკებში.

სამეცნიერო დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებსა და სხვა ორგანიზაციებში დასაქმებულ **მეცნიერ მუშაკთა რიცხვმა** გასული წლის დამლევს მიაღწია 16 ათასზე მეტს, აქედან მეცნიერებათა დოქტორია 824 კაცი, მეცნიერებათა კანდიდატი — 4.925 კაცი.

1968 წელს გაიზარდა მასობრივი ბიბლიოთეკების, კლუბების, თეატრების, კინოთეატრების რიცხვი.

გრძელდება **მოსახლეობისათვის სამედიცინო დახმარების** შემდგომი გაუმჯობესება. საავადმყოფო დაწესებულებებში საწოლების რიცხვი გაიზარდა 1,6 ათასით და გასული წლის დამლევს შეადგინა 42 ათასი. საწოლების რიცხვი გაიზარდა აგრეთვე სანატორიუმებში, დასასვენებელ სახლებში, პანსიონატებში. ყველა სპეციალობის ექიმთა რიცხვი გაიზარდა და შეადგინა 17 ათასზე მეტს.

1968 წელს რესპუბლიკაში დაიბადა 89,9 ათასი კაცი, გარდაიცვალა 32,5 ათასი. მოსახლეობის მატებამ შეადგინა 57,4 ათასი კაცი.

რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რიცხვმა 1969 წლის 1 იანვრისათვის შეადგინა 4710 ათასი კაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო

კონკურსი

პროზისა და პოეზიის საუკეთესო ნაწარმოებისათვის



ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავის აღსანიშნავად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი და საქართველოს მწერალთა კავშირი აცხადებენ კონკურსს საუკეთესო ნაწარმოებებისათვის (პროზა, პოეზია).

კონკურსის პირობები

საკონკურსოდ წარმოდგენილი ნაწარმოები უნდა ასახავდეს საბჭოთა ხალხის ბრძოლას კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის, ლენინიზმის ისტორიულ გამარჯვებას საბჭოთა ქვეყანაში, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის განმტკიცებას, სოციალისტური საზოგადოების მაღალ ზნეობრივ იდეალებს, ქართველი ხალხის შემოქმედებით ცხოვრებას საბჭოთა ეპოქაში, მის რევოლუციურ წარსულს. ამ ნაწარმოებთა მთავარი გმირები უნდა იყვნენ რევოლუციური მოძრაობის მონაწილენი, საბჭოთა ადამიანები მათი მდიდარი სულიერი სამყაროთი, შემოქმედებითი შრომითა და მრავალფეროვანი ცხოვრებით.

ავტორმა ნაწარმოები უნდა წარმოადგინოს მანქანაზე გადაბეჭდილი 4 ცალად, დევიზით, ამავე დევიზით ჟიურის გამოეგზავნოს ცალკე წერილი, რომელშიც აღნიშნოს გვარი, სახელი, მამის სახელი, დაბადების წელი, სამუშაო ადგილი და თანამდებობა, ბინის მისამართი.

ნაწარმოების მოცულობა არ იზღუდება.

პროზა

ერთი პირველი პრემია — 6.000 მანეთი.
ერთი მეორე პრემია — 3.000 მანეთი.

პოეზია

ერთი პირველი პრემია — 3.000 მანეთი.
ერთი მეორე პრემია — 2.000 მანეთი.

პრემირებული ნაწარმოებები გამოქვეყნდება და ავტორებს მიეცემათ ჰონორარი საერთო წესით.

საკონკურსო მასალები მიიღება 1969 წლის პირველ დეკემბრამდე მისამართით: თბილისი, მაჩაბლის ქ. 13, საქართველოს მწერალთა კავშირი (საკონკურსო).

კონკურსის შედეგებს ჟიური შეაჯამებს 1969 წლის 30 დეკემბერს.

საქართველოს სსრ მინისტრთა
საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის
სახელმწიფო კომიტეტი

საქართველოს
მწერალთა კავშირი

ემზადებიან ბელადის იუბილესათვის

ზუგდიდის რაიონის ჰითაწყარის საშუალო სკოლის პედაგოგიურმა და მოსწავლეთა კოლექტივებმა სკოლაში მოაწყეს ლენინის კუთხე. ყურადღებას იპყრობს ბელადის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის ამსახველი მასალების გამოფენა. ლამაზად გაფორმებულია ფოტოალბომი.

ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის სხვადასხვა საკითხზე ლექციებს კითხულობენ პედაგოგები.

პ. აბსანძე.

როცა დედაქალაქში დიდი ზამთარია

კარგა ხანია ასეთი ზამთარი არ ყოფილა თბილისში. ვერ ვიტყვით, რომ ზამთრის სეზონს მოუმზადებელი შეხვდებოდეს ჩვენი დედაქალაქი. მაგრამ თოვლმა, გაჭიანურებულმა ყინვამ და უამინდობამ ბევრი მოულოდნელი საქმე და საზრუნავი გაუჩინა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს. წარმოიშვა ზოგი სიძნელეები საზოგადოებრივი ტრანსპორტის მუშაობის, გათბობის და სხვა დარგში. მაგრამ სწრაფად მიღებულ ღონისძიებათა შედეგად შეფერხებები მოკლე დროში აღმოფხვრილ იქნა.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „კომუნისტის“ მუშაკი ესაუბრა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს შ. ბუხრაშვილს.

გვესაუბრება თბილისის
საქალაქო საბჭოს
აღმასკომის თავმჯდომარე
შ. ბუხრაშვილი

◆

აი რა გვითხრა მან:

ზამთრისათვის ქალაქის მომზადება იოლი საქმე როდია. ეს კარგად იცის აღმასკომის ყველა შესაბამისმა სამმართველომ და განყოფილებამ, თვითეულმა მუშაკმა. ზამთრისათვის მზადებას ჯერ კიდევ მაშინ ვიწყებთ, როცა თბილისში პაპანაქება სიცხეა. ვადგენთ შესასრულებელი სამუშაოების გრაფიკს, დროდადრო ვახდენთ შესრულების შემოწმებას, და უნდა ითქვას, რომ, მიუხედავად ნაადრევი ზამთრისა, საქალაქო მეურნეობა მოუმზადებელი არ შეხვედრია ზამთარს.

საცხოვრებელ ბინებში და დაწესებულებებში წელს გასულ წელთან შედარებით გათბობის საქმე გაცილებით უკეთესად არის მოწყობილი. ამჟამად კვარტალურ, ინდივიდუალურ და თბილისის თბოელექტროცენტრალზე ჩართულია 3.200-ზე მეტი კომუნალური და კოოპერაციული სახლი, 492 ადმინისტრაციული სახლი და ორგანიზაცია. გათბობა ძირითადად თითქმის ყველა სახლში დამაკმაყოფილებელია. არის გამონაკლისიც, რაც ჩვენს მუშაობას ჩრდილს აყენებს, მობინადრეთა სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს. ამაში მარტო საქალაქო საბჭოს თბომეურნეობის მუშაკები როდი სცოდავენ, ხშირ შემთხვევაში დამნაშავენი არიან ჩვენი მშენებლები, რომლებიც სახლებს დიდი დეფექტებით აბარებენ. ამის გამოა, რომ გათბობის სეზონის დაწყებისთანავე იმართება გაუთავებელი დავა თბომეურნეობის მუშაკებსა და მშენებელ-მემონტაჟეებს შორის. აქ დაზარალებული ისევ მობინადრე გამოდის, რადგან არის შემთხვევები, რომ ზოგიერთი სახლი თვეობით არ თბება, მობინადრეებს სიცივის გამო უჭირთ ცხოვრება.

მაგალითად, ლენინის რაიონში ოქტომბრის ქუჩაზე საბავშვო ბაღი, მე-15 და ზოგიერთი სხვა კორპუსი ნორმალურად არ თბება, ასეთივე ერთეული შემთხვევები არის მესამე მასივში და საბურთალოს მასივის მეშვიდე კვარტალში. ყოველივე ეს მშენებლების მიერ გათბობის ქსელის არასწორი დამონტაჟების შედეგია. ასეთი დეფექტების გამოსწორება დიდ დროსა და შრომას მოითხოვს.

ასეა თუ ისე, ორივე შემთხვევაში დამნაშავე ქალაქის საბჭოს აღმასკომი და მისი თბომეურნეობა გამოდის. მშენებელ-მემონტაჟე მიდის, მობინადრესთან კი პასუხისმგებელი აღმასკომია. ამიტომ ჩვენ მოგვიხდება უფრო მეტი მოვთხოვოთ იმ ამხანაგებს, რომლებიც აწარმოებენ ახალი სახლების მიღებას **არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავუშვათ დეფექტიანი სახლის მიღება, უნდა ვაიძულოთ მშენებელი შენობა ჩაგვაბაროს სრულყოფილი.**

დასამალი არ არის, რომ ზოგჯერ სახლს მივიღებთ საცხოვრებლად და მერე აღმასკომსაც და მობინადრესაც მთელი რიგი სამუშაოების შესრულება თავიდან უხდება. ასეთ ნაკლს მომავალში აღარ დავუშვებთ.

თბილისის მცხოვრებთა მოთხოვნილება გაიზარდა. ქალაქის საბჭოს აღმასკომი ყოველივე ამას ითვალისწინებს და შეძლებისდაგვარად ცდილობს მობინადრეთა დაკმაყოფილებას. ამჯერად გვინდა აღვნიშნოთ **ცხელი წყლის** მიწოდების შესახებ. თბილისში ამჟამად ცხელ წყალს იღებს 800 სახლი. ზამთრის პერიოდში, განსაკუთრებით მაშინ, როცა თბილისში ყინვებია, ცხელი წყლის მიწოდება ზოგჯერ ფერხდება სათბური ბალანსის ნაკლებობის გამო. თუ ამას იმასაც დავუმატებთ, რომ დიდი ყინვების დროს მცირდება გაზის მიწოდება, მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება. მაგრამ ზოგიერთი მობინადრე ანგარიშს არ უწევს არაფერს, ჩივის. ზამთარს თავისი კაპრიზები აქვს. ძნელია ყველაფერი წინასწარ გაითვალისწინო. ამიტომ მობინადრეებსაც მოთმინება მართებთ.

თბილისში ასეთი დიდი თოვლი და ხანგრძლივი ყინვები დიდიხანია არ გვახსოვს. ზამთრის ყოველგვარი მოულოდნელობისათვის **საქალაქო მეურნეობა** ყოველმხრივ მზად უნდა იყოს. ამისათვის ჩვენ ყველაფერი ადრე გავითვალისწინეთ, ხოლო დეკემბრის პირველ რიცხვებში აღმასკომმა მიიღო სპეციალური გადაწყვეტილება, რითაც რაისაბჭოს აღმასკომებს დაევალათ გადამჭრელი ზომები მიეღოთ — რაიონის დასუფთავების სპეცკანტორებსა და საგზაო-საექსპლოატაციო კანტორებს საჭირო რაოდენობით მოემარაგებინათ წიდა და ნახერხი ყინვების დროს ქუჩებზე და მოედნებზე დასაყრელად, შეემოწმებინათ აღნიშნულ მეურნეობებში სპეციალური აღჭურვილობის მდგომარეობა (მოემარაგებინათ ნიჩბები, ყინულის საფხეკი, აქანდაზი, ცოცხი, საბურავების ჯაჭვები და სხვ.). გარდა ამისა ქალაქის მსხვილ სამშენებლო-სატრანსპორტო ორგანიზაციებს სპეციალურად გამოუყვეს ქუჩები, რომლებიც დიდი თოვლის დროს უნდა გაეწმინდათ.

ამ გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი თვის შემდეგ — ორ იანვარს თბილისში მართლაც დაიწყო თოვა. მაშინვე ქალაქის საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოში და რაისაბჭოს აღმასკომებში შემოღებულ იქნა სადღეღამისო მორიგეობა. დაიწყო ქუჩების გაწმენდა თოვლისაგან, წიდის, ქვიშისა და ნახერხის დაყრა ტრანსპორტისა და ხალხის შეუფერხებელი მოძრაობისათვის. მიუხედავად ამისა, ოთხსა და ხუთ იანვარს ქალაქში იგრძნობოდა შეფერხებები, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა ტრანსპორტის მხრივ. ეს მხედველობიდან არ გამორჩენია თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს. დაისახა ოპერატიული სამოქმედო გეგმა. პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ბიურომ ეს საკითხი სპეციალურად განიხილა, დიდი თოვლის შედეგად გამოწვეული შეფერხებების აღსაკვეთად დასახა ღონისძიებანი. მოკლე დროში ქალაქის ცხოვრება კალაპოტში ჩადგა. ცხადია, ეს დიდ სიძნელეებთან და დაძაბულ შრომასთან იყო დაკავშირებული.

იანვარში თითქმის განუწყვეტლივ თოვს. ამან, ცხადია, კიდევ უფრო გაართულა მუშაობა, გაძნელდა ქუჩების გაწმენდა თოვლისაგან. 28 იანვრის ჩათვლით თოვლისაგან ქალაქის ქუჩების სავალი ნაწილი 2 მილიონ 600 ათასი კვადრატული მეტრი გაიწმინდა, ტროტუარი — 301 ათასი კვადრატული მეტრი, გატანილ იქნა 2.436 მანქანა თოვლი. დაყრილია 2.729 კუბური მეტრი წიდა, 288 კუბური მეტრი ნახერხი და სხვ.

ქალაქის საბჭოს აღმასკომი თავისი ძალებით, ცხადია, ამ დიდ სამუშაოს ამ მოკლე პერიოდში ვერ შეასრულებდა, აქტიური მონაწილეობა რომ არ მიეღოთ მთელ რიგ ორგანიზაციებს. აღსანიშნავია „ზაკტრანსსტროის“ 131 სამშენებლო სამმართველო (უფროსი ვ. ტაგანაშვილი), რომელმაც თოვლისაგან გაწმინდა ავჭალის გზატკეცილი, მაგნიტოგორსკისა და ანაპის დივიზიის სახელობის ქუჩები, დაყარა წიდა და უზრუნველყო ტრანსპორტის შეუფერხებელი მუშაობა. კარგად იმუშავეს მესამე ავტოსატრანსპორტო კანტორამ (უფროსი ა. კოჭლამაზაშვილი), პოლიტექნიკური და რკინიგზის ტექნიკუმის მოსწავლეებმა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველომ (უფროსი გ. სიმონიშვილი), კერამიკული კომბინატისა და ხორცკომბინატის კოლექტივებმა.

ცხადია, ყველა ორგანიზაციას აქტიური მონაწილეობა რომ მიეღო თოვლისაგან დედაქალაქის ქუჩების გაწმენდის საქმეში, ის შეფერხებები, რასაც პირველ დღეებში ჰქონდა ადგილი, ისიც არ იქნებოდა.

ბუნების სტიქიის წინააღმდეგ ბრძოლა ერთეული ორგანიზაციებისა და ადამიანების საქმე როდია. უნდა ვიბრძოლოთ ყველამ ერთად, შეუფერხებლად.

6-7 იანვარს ქალაქის ქუჩებში თოვლის სიმაღლემ 18 სანტიმეტრს მიაღწია, რომელიც დაახლოებით ორ მილიონ კუბურ მეტრს შეადგენს და ქალაქის ქუჩებიდან მის გასატანად საჭიროა მანქანის შვიდასი ათასი რეისი. თუ ღრმად ჩავუკვირდებით ამ ციფრებს, დავრწმუნდებით, რომ ქალაქის საბჭოს აღმასკომი და შესაბამისი სამმართველოები და განყოფილებები ამ დიდი სამუშაოს შესრულებას ვერ შეძლებენ. მით უმეტეს, რომ ამისათვის სათანადო მექანიზაცია არ გაგვაჩნია.

გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ თოვლისაგან ქუჩების გასუფთავების საქმეში ყველაფერი რიგზე ვერა გვაქვს. ზოგიერთი ორგანიზაცია და ცალკეული მობინადრეები სტიქიასთან ბრძოლას თავიანთ საქმედ არა თვლიან და ელოდებიან სხვა როდის გაუსუფთავებს ქუჩას, ტროტუარს, მოედნებს. მიუხედავად იმისა, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის სპეციალური გადაწყვეტილებით თბილგვირაბმშენს, „ზაკტრანსსტროის“, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მექანიზაციის სპეცტრესტს, ტრესტ „ინჟმშენს“ დავალებული ჰქონდათ მთელი რიგი ქუჩების გაწმენდა, მათ ეს დავალება მხოლოდ ნაწილობრივ შეასრულეს. ისინი დაკმაყოფილდნენ ერთი ან ორი მანქანის მოქმედებით და ამით თავიანთი მოვალეობა მოიხადეს.

ტროტუარების გაწმენდა თოვლისაგან დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, თუ ამ საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ ორგანიზაციები, მობინადრეები. სხვანაირად არც შეიძლება.

ზამთარი ჯერ კიდევ წინ არის. ვინ იცის, რა სიურპრიზებს გვიმზადებს. ჩვენ ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ, რათა დედაქალაქის ნორმალური ცხოვრება ვერაფერმა შეაფერხოს.

სკოლა და გაზეთი

გაზეთ „სახალხო განათლების“ გამოსვლის 40 წლისთავის გამო

სახალხო განათლება

ჩვენი სამშობლოს პედაგოგიური პრესის ერთიანი ოჯახი დღეს დიდი ზეიმით აღნიშნავს საქართველოს მასწავლებელთა და სახალხო განათლების მუშაკთა გაზეთ „სახალხო განათლების“ გამოსვლის 40 წლისთავს.

საქართველოს კულტურას მეტად მდიდარი ისტორია აქვს, მაგრამ მასწავლებელთა სპეციალური გაზეთის გამოსვლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი.

40 წლის წინათ — 1928 წლის 13 დეკემბერს გამოვიდა ჩვენი გაზეთის პირველი ნომერი. მაშინ მას „განათლების მუშაკი“ ეწოდებოდა. 1932 წლიდან ეს სახელწოდება „კომუნისტური განათლებით“ შეიცვალა, ხოლო 1938 წელს „საბჭოთა მასწავლებელი“ ეწოდა. 1946 წლის იანვრიდან მას „სახალხო განათლება“ ჰქვია. მთელი თავისი არსებობის მანძილზე მასწავლებელთა გაზეთი დაუცხრომლად იბრძოდა და იბრძვის კომუნისტური პარტიის მიერ სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

ჟამთა სვლისაგან გაყვითლებული გაზეთის ფურცლები მოგვითხრობენ ჩვენი რესპუბლიკის სახალხო განათლების უანგარო მუშაკთა თავდადებულ შრომაზე, საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღებაზე, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე, საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი სწავლების კანონის განუხრელად განხორციელებისათვის გაწეულ მუშაობაზე.

განვლილი ოთხი ათეული წლის მანძილზე „სახალხო განათლება“ გადაიქცა მოწინავე პედაგოგიური აზრისა და პრაქტიკის ნამდვილ ტრიბუნად. მის პოპულარობაზე ნათლად მეტყველებს ის ფაქტიც, რომ გაზეთის პირველი ნომრის ტირაჟი მხოლოდ 2 ათასი იყო, ამჟამად კი 55 ათასს აღწევს.

გაზეთი დიდ მუშაობას ეწევა მასწავლებელთა დახელოვნებისათვის, მოწინავე სკოლების წამოწყებებისა და გამოცდილების შესწავლა-განზოგადებისათვის. მოწინავე პედაგოგიური გამოცდილების ფართო პროპაგანდისა და აქტიურად დანერგვისათვის.

კომუნისტური პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 ნოემბრის დადგენილებით „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ გრანდიოზული ამოცანებია დასახული სახალხო განათლების შემდგომი განვითარებისათვის.

პარტიამ მნიშვნელოვანი პრობლემები დააყენა საბჭოთა სკოლის წინაშე. მთავარი ამოცანები, რომლებიც უნდა გადაწყვიტონ სახალხო განათლების მუშაკებმა, არის საყოველთაო საშუალო განათლებაზე გადასვლა, მოსწავლეთა სწავლებისა და კომუნისტური აღზრდის ხარისხის გაუმჯობესება.

მასწავლებელთა უმთავრესი ამოცანაა შეაიარაღონ მოსწავლეები მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით, მოამზადონ ჩვენი ქვეყნის ჭაბუკები და ქალიშვილები ცხოვრებისათვის, პროფესიის შეგნებული არჩევისათვის, აქტიური შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის. ამ ამოცანების გადაწყვეტას ემსახურება პედაგოგიური პრესა, ეს არის მისი მთავარი საზრუნავი. გაზეთი სისტემატურად აქვეყნებს მასალებს, სადაც განზოგადებულია მასწავლებელთა მუშაობის გამოცდილება, ფართო პროპაგანდა ეწევა მოსწავლეთა აკადემიური ჩამორჩენილობის, მეორეწლიანობის აღმოფხვრის იმ გზებსა და საშუალებებს, რომლებსაც მოწინავე სკოლები და მასწავლებლები იყენებენ თავიანთ საქმიანობაში.

ჩვენი მასწავლებლების საყოველთაო-სახალხო აღიარება კვლავ გამოიხატა იმით, რომ შარშან მასწავლებელთა სრულიად საკავშირო ყრილობის დღეებში 70 საუკეთესო მასწავლებელს მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება. სასიხარულო და სასამაყოა, რომ მათ შორის არიან ქართველი პედაგოგები ნ. გელდიაშვილი და ნ. ჯაფარიძე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1968 წლის აპრილისა და ივლისის პლენუმების გადაწყვეტილებებში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ საჭიროა იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერება, ბურჟუაზიული იდეოლოგიის ყოველი გამოვლინების წინააღმდეგ შეურიგებელი ბრძოლა.

თანამედროვე ეტაპზე კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის გამწვავების პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკურ აღზრდას. სკოლამ, მასწავლებლებმა უნდა ჩაუნერგონ ახალგაზრდობას კომუნისტური მორალის ძვირფასი თვისებები, განუვითარონ საზოგადოებრივი მოვალეობის დიდი შეგნება, აღზარდონ ისინი სამშობლოსადმი უანგარო სამსახურისა და კომუნიზმის იდეებისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესება უპირველეს ყოვლისა და უმეტესად დამოკიდებულია მასწავლებელზე, მის იდეურ სიმწიფეზე, მეცნიერულ ცოდნაზე, პედაგოგიურ ოსტატობასა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობაზე. ამიტომ საჭიროა ყველა მასწავლებელი შეუნელებლად ზრუნავდეს თავისი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის, პროფესიული დაოსტატებისათვის.

მასწავლებელთა იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლების მიზნით გაზეთი სისტემატურად ბეჭდავს წერილებს, თეორიულ სტატიებს. პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებიდან გაზეთი რეგულარულად აქვეყნებს სპეციალურ გვერდებს საერთო სათაურით „ლენინური სწავლების წელიწადი“.

გაზეთის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და სამახსოვრო მოვლენა იყო მისი პერიოდულობის ზრდა, რაც შარშან აგვისტოში განხორციელდა. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მოწმობს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელ, შეუნელებელ ზრუნვას სახალხო განათლების შემდგომი განვითარებისათვის, კომუნიზმის მშენებელი თაობის აღზრდისათვის.

ამჟამად, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში სულ უფრო ფართოდ გაიშალა მზადება პროლეტარული რევოლუციის დიდი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის, მსოფლიოს მშრომელთა ბელადისა და მასწავლებლის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის, „სახალხო განათლების“ რედაქციის კოლექტივი თავის უპირველეს მოვალეობად თვლის გაზეთის ფურცლებზე ყოველმხრივ უჩვენოს მკითხველს პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ბრძოლა ვ. ი. ლენინის დიადი ანდერძის განხორციელებისათვის.

ამ საზეიმო დღესაც ჩვენი გაზეთის კოლექტივი კარგად გრძნობს, რომ ყველა გამოქვეყნებული მასალა როდი გამოირჩევა ჟურნალისტური ოსტატობით, დახვეწილი სტილითა და მხატვრული გემოვნებით. ყველა ისინი ყოველთვის როდი აკმაყოფილებენ მკითხველთა მზარდ ინტერესს.

ჩვენი მასწავლებლები, განათლების დარგის მუშაკები გაზეთის ყოველ ნომერში უნდა პოულობდნენ უხვ სულიერ საზრდოს, მეთოდურ წერილებსა და მოწინავე გამოცდილებისადმი მიძღვნილ სტატიებს. ამ მხრივ ჩვენი შესაძლებლობანი განუსაზღვრელად დიდი გახდა გაზეთის პერიოდულობის გაზრდის შედეგად.

სასიხარულო და სასამაყოა, რომ 40 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა გაზეთის რედაქცია და მისი მუშაკების ერთი ჯგუფი. ეს მაღალი ჯილდო ავალებს გაზეთის მთელ კოლექტივს კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლონ კომუნისტური პარტიის მიერ სკოლის წინაშე დასახული გრანდიოზული ამოცანების გადასაწყვეტად.

პარტიისა და მთავრობის ზრუნვა იმის სტიმულს გვაძლევს, რომ მომავალში გაზეთი კიდევ უფრო შინაარსიანი, მიმზიდველი და საუკეთესოდ გაფორმებული გამოდიოდეს, რომ ის, სახალხო განათლების მუშაკებთან ერთად, დაუცხრომლად იბრძოდეს კომუნისტური პარტიის მიერ სკოლის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის.

ნ. შველიძე,
გაზეთ „სახალხო განათლების“ რედაქტორი.

საერთაშორისო ცხოვრება

ლ. შტროუგალის სიტყვა სახალხო მილიციის აქტივზე

პრაღა, 29 იანვარი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გადმოსცა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლ. შტროუგალის სიტყვის შინაარსი. ლ. შტროუგალმა სიტყვა წარმოთქვა პრაღისა და შუა ჩეხიის ოლქის სახალხო მილიციის მუშაკთა აქტივზე 24 იანვარს.

„პარტია ყოველთვის რწმენით ეყრდნობოდა სახალხო მილიციის წევრებს, — თქვა ლ. შტროუგალმა. — დღესაც იგი მოგიწოდებთ დაეხმაროთ იმ მერყეობის, დეზორიენტაციისა და გამხრწნელი ტენდენციების დაძლევაში, რომლებსაც ვხედავთ, სამწუხაროდ, პარტიაშიც. შექმნილი მდგომარეობიდან მთავარი გამოსავალი ის არის, რომ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის რეზოლუციის საფუძველზე შევკავშირდეთ, დავიწყოთ კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება, კონკრეტული მუშაობა“. ლ. შტროუგალმა გაანალიზა გასული წლის მოვლენათა განვითარება და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ცალკეული ღონისძიებანი.

თუ პარტია და საზოგადოება მუდმივი დაძაბვით იცხოვრებენ, ჩვენ ვერ გადავდგამთ ვერც ერთ პოზიტიურ ნაბიჯს იანვრისშემდგომი პოლიტიკის განხორციელების გზაზე, თქვა მან. ჩვენ მხოლოდ ვლაპარაკობთ, და ხალხი შეგვეკითხება, ფაქტიურად რა მოიმოქმედეთო.

ჩვენი ხალხებისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის გამოსავალია არა უიმედობისა და სკეპტიციზმის ატმოსფერო, არამედ პარტიის თანმიმდევრული, მტკიცე პოზიცია, იმ იდეების თანმიმდევრული განხორციელება, რომლებსაც ნოემბრიდან ვნერგავთ, ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა. რა თქმა უნდა ჯერ კიდევ არის ბევრი კრიზისული მომენტი, რომლებიც მთელი სერიოზულობით გვაქვს შეგნებული. აღარ შეგვიძლია უმოქმედოდ ვუყურებდეთ იმას, რაც ამ ბოლო კვირების მანძილზე პრაღაში ხდება. მხედველობაში მაქვს დემონსტრაციები, რომელთა მონაწილენი ანტიპარტიულ ლოზუნგებს გაიძახიან, ფურცლები, რომლებიც ჩირქს სცხებენ ხელმძღვანელ მოღვაწეებს და რესპუბლიკის პრეზიდენტსაც კი. მხედველობაში მაქვს სხვადასხვა მიმართვები, რომლებშიც უნდობლობას უცხადებენ ხან ერთს, ხან მეორეს. და ბოლოს, სხვადასხვა მოქმედება, რომლებსაც შეიძლება წარმოუდგენელი შედეგები მოჰყვეს, აღნიშნა ლ. შტროუგალმა.

კვლავ მოითხოვენ პარტიული ყრილობის მოწვევას, არჩევნების თარიღის გამოცხადებას. პარტიის ხელმძღვანელობამ უკვე გამოთქვა თავისი აზრი ყრილობისა და არჩევნების შესახებ: 1969 წლის განმავლობაში, ვგულისხმობდით წლის პირველ ნახევარს, კიდევ დავუბრუნდებით ამას და მივიღებთ კონკრეტულ გადაწყვეტილებას.

ამ საკითხებშიც საჭიროა მკაფიო აზრის გამოთქმა. უწინარეს ყოვლისა ჩვენ ვითვალისწინებთ, თუ რა მდგომარეობაშია პარტია. იგი გაყოფილია, მასში არის სხვადასხვა მიმდინარეობა. ამ ეტაპზე ჩვენ ვისწრაფვით, რომ ჯანსაღი ძალები, რომლებიც იბრძვიან და აქტიურად უჭერენ მხარს ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას, განამტკიცებდნენ თავიანთ რიგებს, განამტკიცებდნენ თავიანთ პოზიციებს და ასუსტებდნენ ექსტრემისტულ და განსაკუთრებულ მემარჯვენე ძალებს, აღნიშნა ლ. შტროუგალმა.

მიმაჩნია, რომ ყრილობამ, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოთქვას აზრი, როგორ და რა უნდა გაკეთდეს შემდგომში. ადამიანები ამას მოითხოვენ. ამას მოითხოვს საზოგადოების უმრავლესობა, კომუნისტთა უმრავლესობა. ჩვენ ხომ უნდა ვთქვათ ჩვენი სიტყვა და საზოგადოებას გავუზიაროთ, თუ როგორ წარმოგვიდგენია შემდგომი ეკონომიური განვითარება, ვთქვათ, რა ბედი ეწევა ეკონომიურ რეფორმას, მშრომელთა საბჭოებს, პოლიტიკური სისტემის გაგებას. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, როგორ ვაპირებთ პარტიის ხელმძღვანელი როლის განხორციელებას. ჯერჯერობით ჩვენ ვერ მოვამზადეთ ეს საკითხები და ეს ჩვენი ბრალი არ არის.

ყველა ამ საკითხის გადაუჭრელად არ შეიძლება ყრილობის დაწყება, თუ გვინდა, რომ ყრილობა ყრილობა იყოს, თუ გვინდა, რომ მან შეასრულოს თავისი მისია, თქვა ლ. შტროუგალმა.

რაც შეეხება არჩევნების მალე გამართვას, არჩევნებს პროგრამით უნდა მივუდგეთ. ხელმძღვანელი პარტია — ჩეხოსლოვაკიის კომპარტია — შეადგენს პროგრამის საფუძველს. მამასადამე, არჩევნები უნდა მოეწყოს ყრილობის შემდეგ.

შემდეგ ორატორი გადავიდა მასობრივი ინფორმაციის ორგანოების მუშაობის საკითხზე. მან აღნიშნა, რომ პარტიის გავლენა ინფორმაციის საშუალებებზე ჯერ კიდევ მეტად სუსტია. ამასთან პარტიას არ შეუძლია შეასრულოს თავისი მისია თანამედროვე საზოგადოებაში, თუ არა აქვს ინფორმაციის მასობრივი საშუალებანი.

სწორედ პრესას მოუვიდა ისეთი შეცდომები, რომლებიც გახდა ჩვენსა და ჩვენს სოციალისტურ მოკავშირეთა შორის კონფლიქტების, აგრეთვე უნდობლობის მიზეზი. ჩვენ გვსურს, ხაზი გაუსვა ლ. შტროუგალმა, რომ სოციალისტურ ჩეხოსლოვაკიაში ინფორმაციის საშუალებანი არ ამახინჯებდნენ პარტიის პოლიტიკას. ტელევიზიის, რადიოსა და პრესის გარეშე არ შეიძლება ხელმძღვანელობა და მუდამ განმეორდება ისეთი სიტუაციები, რომლებიც აქ ვახსენე და რომელთა მოწმენი დღეს ვართ.

პარტიის ხელმძღვანელ როლს ვერ შევქმნით დეკრეტის საშუალებით, თქვა მან. მან საფუძვლად უნდა ჰქონდეს ადამიანთა ნდობა ჩვენი პოლიტიკისადმი, და სწორედ აქედან უნდა გამომდინარეობდეს პარტიის ბუნებრივი ავტორიტეტი საზოგადოებაში. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა ვახორციელებდეთ სოციალისტურ პოლიტიკას ხალხთან ერთად და ხალხისათვის, ხაზს ვუსვამ, ვახორციელებდეთ სოციალისტურ და არა სხვა პოლიტიკას!

რა თქმა უნდა, პოლიტიკის განხორციელება ხალხთან ერთად არ ნიშნავს, რომ შეგვიძლია შევურიგდეთ ყველა შეხედულებას. ჩვენ აშკარად უნდა ვუპასუხოთ არასწორ აზრებს, უნდა გვქონდეს გამბედაობა გავილაშქროთ მრავალი მოთხოვნის წინააღმდეგ.

როცა ჩვენი საშინაო მდგომარეობის შედეგებს ვაჯამებთ, შეცდომა და სიბეცე იქნებოდა მიგვეჩნია, რომ მთელი რიგი ნეგატიური მოვლენები, რომლებიც მუდამ თან ახლავს დაძაბულობას ჩვენს ქვეყანაში, შემთხვევითია და რომ მათი მიზეზია მხოლოდ ჩვენი ნაკლოვანებანი და შეცდომები, თქვა შემდეგ ლ. შტროუგალმა.

როგორც კომუნისტები, ჩვენ უნდა ვითვალისწინებდეთ საერთაშორისო ფაქტორების გავლენას ჩვენს შინაგან განვითარებაზე. ჩვენ თანმიმდევრულად უნდა ვიყენებდეთ კლასობრივ მიდგომას, არ უნდა დავივიწყოთ, რომ სოციალიზმსა და კაპიტალიზმს შორის მიმდინარეობს შეურიგებელი ბრძოლა, ულმობელი ბრძოლა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს, თუ ვინ გაიმარჯვებს. ეს ბრძოლა მარტო კაპიტალისტური სამყაროს გეოგრაფიული საზღვრებით როდი შემოიფარგლება, იგი მიმდინარეობს ცალკეულ ქვეყნებშიც.

კაპიტალიზმი იყენებს ჩვენს მოძრაობაში არსებულ უთანხმოებებს და დღეს, უმთავრესად, მთავარ ყურადღებას უთმობს ნაციონალისტურ გაუგებრობათა გაღრმავებას სოციალისტურ ქვეყნებს შორის. იგი ყოველ ღონეს ხმარობს, თქვა შემდეგ ორატორმა, რომ შექმნას პოლიტიკური და იდეოლოგიური პლაცდარმი სოციალიზმის რეფორმირებისათვის შიგნიდან ისე, რომ წაიშალოს მისი კლასობრივი და ინტერნაციონალური არსი. იგი ნერგავს იმ თეორიას, რომ მარქსისტული მოძღვრება იმდენია, რამდენიც მათი მქადაგებელი. რა არის ამ თეორიის არსი? უწინარეს ყოვლისა ყველა სოციალისტური ქვეყნისათვის მოქმედი სოციალიზმის აშენების ზოგად კანონზომიერებათა არსებობის უარყოფა. შემდეგ მას სურს ყველა სოციალისტური ქვეყანა შეაჯახოს ერთმანეთს და საბჭოთა კავშირს, გამოაცალოს სოციალისტურ დემოკრატიას მისი კლასობრივი შინაარსი და კვლავ გააღორძინოს წარმოდგენა ბურჟუაზიული დემოკრატიის იდეალურობაზე.

სამართლიანია რეაბილიტაცია ბევრი ღირებულებისა, რომლებიც დეფორმირებული იყო, თქვა ლ. შტროუგალმა. მაგრამ, ჩემი აზრით, ბევრის რეაბილიტაცია ჯერ კიდევ არ დაგვიწყია, თუმცა უკვე არის ნიშნები, რომ ამას მეტად გვიან შევუდგებით. მათ რიცხვს, უწინარეს ყოვლისა, მიეკუთვნება კომუნისტური პრინციპულობის რეაბილიტაცია, მარქსისტული კრიტერიუმებისადმი ერთგულების რეაბილიტაცია. უამისოდ ლიტონ ფრაზად რჩება იმის გამოცხადება, რომ ნოემბრის რეზოლუციას ვეთანხმებით.

ნება მიბოძეთ რამდენიმე სიტყვა ვთქვა კიდევ სოციალისტურ ბანაკთან ურთიერთობაზე. ჩვენს წინაშე დგას ამოცანა — მოთმინებით აღმოვფხვრათ შექმნილი უთანხმოებანი, სხვაგვარად ჩვენს მუშაობას არავითარი პერსპექტივა არ ექნება. ამ ურთიერთობის კონსოლიდაცია საარსებოდ დიდმნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი ხალხებისათვის. სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობისა და საბჭოთა კავშირისადმი ჩვენი დამოკიდებულება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ინტერნაციონალისტური გაგების კრიტერიუმია.

ამ თანამეგობრობამ მძიმე განსაცდელი გაიარა და გადის, მაგრამ იგი არსებობს და ერთადერთი რეალური ძალაა კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ. სოციალისტურ სამყაროს თავისი უნარის დამტკიცება მხოლოდ ურთიერთთანამშრომლობის პირობებში ძალუძს.

ლ. შტროუგალმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებაში შექმნილი კრიზისული მდგომარეობიდან გამოსავალი, პარტიის აზრით, უწინარეს ყოვლისა შეკავშირებაა, ის არის, რომ პარტიის ხელმძღვანელობა თანმიმდევრულად და მტკიცედ დაეყრდნობა პარტიის ჯანსაღ ძალებს, რომლებიც ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას უჭერენ მხარს. მაგრამ შეკავშირება ითვალისწინებს გამიჯვნასაც იმ ადამიანებისაგან, რომლებსაც ფაქტიურად სურთ დაატორპედონ ეს პოლიტიკა, რა მაცდუნებელ ლოზუნგებსაც უნდა აყენებდნენ ისინი.

კომუნისტების დაუხმარებლად ვერ აღმოვფხვრით არაჯანსაღ ქაოსსა და უორიენტაციობას ინფორმაციის საშუალებებში. ჩვენ გვწამს, რომ კომუნისტები ამ მხრივ დაეხმარებიან პარტიას ნოემბრის პლენუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში.

გადაუდებელი პოლიტიკური მუშაობა გველის პროფკავშირებში. არანაკლებ მძიმე ბრძოლა მოგველის ახალგაზრდობისათვის. ზოგიერთნი მეტად გულმშვიდად ამყარებენ იმედს ახალგაზრდობის მცირე ცხოვრებისეულ გამოცდილებასა და კეთილშობილურ თვისებებზე, ახალგაზრდობისა, რომელიც უკომპრომისოდ ესწრაფვის დიადი იდეების განხორციელებას. ჩვენ უნდა დავარწმუნოთ ახალგაზრდობა, ხაზი გაუსვა დასასრულ ლ. შტროუგალმა, რომ სოციალიზმი მართლაც მხოლოდ ოცნებად დარჩებოდა დისციპლინირებული კოლექტიური შრომის, ყველა ჩვენგანის კოორდინირებულ ღონისძიებათა გარეშე.

გაერთიანებული სხდომა

პრაღა, 30 იანვარი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, გუშინ გაიმართა სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩეხიის ოლქებში პარტიული მუშაობის ხელმძღვანელი ბიუროს პირველი გაერთიანებული სხდომა, რომელმაც განიხილა ქვეყნის პოლიტიკური ვითარება და ორივე ორგანოს მოქმედება ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის იმ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, რომლებიც მიიღეს ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის, დეკემბრისა და იანვრის პლენუმებმა.

ორივე ორგანოს აზრით, საზოგადოების რთული და ძნელი ამოცანების გადაწყვეტის მთავარი წანამძღვარია ჩეხოსლოვაკიელ კომუნისტთა ერთიანი მოქმედება.

ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო და სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმი გადაჭრით გამოდიან იმ ცალკეული ცდების წინააღმდეგ, რომ დაარღვიონ ჩეხი და სლოვაკი ხალხების ძმური თანამშრომლობა, რამაც ბოლო დროს თავი იჩინა ზოგიერთ გაზეთსა და ჟურნალში, მთელ რიგ გამოსვლებში რადიოთი და ტელევიზიით, აგრეთვე სხვადასხვა კრებებზე, განსაკუთრებით ჩეხიის ოლქებში.

სლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმისა და ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს საერთო აზრი ის არის, რომ სასარგებლოა ინფორმაციის გაცვლა, აგრეთვე ზოგიერთი საკითხის ერთად განხილვა, და დასახეს ასეთი განხილვის მომზადებისა და მოწყობის პრინციპები.

ჩეხოსლოვაკიის წარდგინება შეერთებულ შტატებს

პრაღა, 30 იანვარი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 28 იანვარს ჩეხოსლოვაკიის ელჩი ამერიკის შეერთებულ შტატებში კ. დუდა ეწვია სახელმწიფო დეპარტამენტს იმასთან დაკავშირებით, რომ ჩეხოსლოვაკიის საზღვრების მახლობლად მიმდინარეობს ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის ჯარების მანევრები. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს მანევრები ამწვავებენ მდგომარეობას ჩეხოსლოვაკიის საზღვარზე, აძლიერებენ საერთაშორისო დაძაბულობას და რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ამ ნაბიჯმა გამოიწვია საფუძვლიანი შეშფოთება და შიში.

თათბირი პარიზში

პარიზი, 30 იანვარი. (საკდესი). დღეს კლებერის ავენიუზე, საერთაშორისო კონფერენციების სახლში გაიხსნა ვიეტნამის საკითხზე ოთხმხრივი თათბირის მეორე პლენარული სხდომა.

პროვოკატორები და მათი მსხვერპლნი

პრაღა, 29 იანვარი. (საკდესი). სოციალიზმისადმი მტრულად განწყობილი ძალები კვლავ ცდილობენ გაამწვავონ ვითარება ჩეხოსლოვაკიაში. ამ ძირგამომთხრელი მოქმედების მიზანია, კერძოდ, გამოიწვიონ ნერვიულობა და ისტერია პრაღელი სტუდენტის იან პალახის ტრაგიკულ სიკვდილთან დაკავშირებით, რომელიც 25 იანვარს დაკრძალეს. ჩეხოსლოვაკიის პრესა და უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან ზოგიერთ დამატებით ამბებს, რომლებიც შუქს ჰფენენ ამ და თვითმკვლელობის სხვა შემთხვევების გარემოებებს.

გარკვეული წრეების მეცადინეობით, რომლებიც ძირგამომთხრელ ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევიან სტუდენტთა შორის, ჯერ კიდევ 1968 წლის ნოემბერში, როგორც ეს მოგვიანებით გადასცა პრაღიდან იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის სააგენტოს კორესპონდენტმა, შეიქმნა ჯგუფი, რომელსაც დაავალეს განეხორციელებინა თვითდაწვის რამდენიმე აქტი. ამერიკის ამ სააგენტოს პრაღელი კორესპონდენტი იმოწმებს ცნობებს, რომელიც მიიღო კარლის უნივერსიტეტის „ერთ-ერთი მასწავლებლისაგან“, რომელმაც არ მოისურვა, რომ მისი ვინაობა დაესახელებინათ. იმავე სააგენტოს ცნობით, პალახი შედიოდა ჯგუფში, რომლის წევრებმა „ფიცი დადეს, რიგრიგობით მსხვერპლად შეეწირათ თავი“. ფრანს პრესის პრაღელი კორესპონდენტი ამტკიცებდა, რომ სტუდენტთა ჯგუფში 15 კაცი შედიოდა. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“ წინასწარმეტყველებდა, რომ „ვაცლავის მოედანზე მოხდებოდა რამდენიმე თვითდაწვა“.

უცხოეთის პრესის ინფორმაციიდან და ჟურნალისტთა წრეებში გავრცელებული ცნობებიდან გამოირკვა, რომ ჯგუფის წევრებმა წილი ჰყარეს, რათა განესაზღვრათ, ვინ უნდა გამხდარიყო პირველი მსხვერპლი. არჩევანი სტუდენტ ი. პალახს ხვდა წილად.

ამბობენ, რომ ი. პალახი ჯერ უარზე იყო, ეჭვი ეპარებოდა სწორია თუ არა ასეთი მოქმედება. ბოლოს და ბოლოს ჯგუფის ზეგავლენით თანხმობა გამოაცხადა. 28 იანვრის „ვეჩერნი პრაღაში“ მოყვანილია მტკიცებანი, რომლებსაც პრაღაში გამოთქვამდნენ, რომ იან პალახის სიკვდილი არსებითად პოლიტიკური მკვლელობა იყო, სტუდენტს მისი საქციელი ჩააგონეს ელემენტებმა, რომლებსაც სურთ განუწყვეტლივ აღვივებდნენ შფოთიან ვითარებას ჩეხოსლოვაკიაში. გაზეთში ნახსენებია, რომ ი. პალახი დაარწმუნეს, თითქოს საწვავი, რომელიც მას უნდა გამოეყენებინა, მხოლოდ „ცივ ალს“, მხოლოდ „ნათებას“ გამოიწვევდა.

ი. პალახს სიკვდილი არ უნდოდა. ჩეხოსლოვაკიის პრესა წერდა, რომ როცა ალმოდებულმა ტკივილი იგრძნო, გაიქცა და დახმარებას ითხოვდა. „პალტო მომახურეთ!“ — ყვიროდა იგი. ქალაქის სატრანსპორტო სამსახურის დისპეტჩერმა ი. შპირეკმა თავისი პალტო მოახურა ალმოკიდებულს და ცეცხლი ჩააქრო, მაგრამ გვიანღა იყო. ექიმებს კი პალახმა უთხრა, რომ ასეთ ბოლოს არ მოელოდა.

იგივეა ნათქვამი ჩეხიის მთავრობის განცხადებაშიც, რომელიც პრესამ 18 იანვარს გამოაქვეყნა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთავრობა დამწუხრებულია ახალგაზრდის ბედით, მითუმეტეს, რომ „იგი არ მოელოდა, რომ მისი მოქმედება ასე ტრაგიკულად დამთავრდებოდა, როგორც თვითონ უთხრა მკურნალ ექიმს“.

რამდენიმე დღის შემდეგ საზოგადოებრიობა აალელვა ახალმა ტრაგიკულმა სიკვდილმა. დედაქალაქის გაზეთები იუწყებოდნენ, რომ პრაღის სპორჟილოვის რაიონში გაზით მოიწამლა სტუდენტი ქალი ბლანკა ნახაზელოვა. წერილი, რომელიც მოწამლულმა ქალიშვილმა დატოვა, მოწმობს, რომ მისი თვითმკვლელობის კვალიც თვითდაწვის ორგანიზატორთა ჯგუფისაკენ მიდის. ამ წერილში, რომელიც „რუდე პრავომ“ და ზოგიერთმა სხვა გაზეთმა გამოაქვეყნა, ნათქვამია:

„ძვირფასებო, როცა ამ წერილს წაიკითხავთ, ამას ვეღარ გავიგებ. დამიჯერეთ, რაც ვქენი, რწმენით არ მიქნია. მაიძულეს, სიკვდილის ასეთი საშუალება ვარჩიე. ეს ბევრად ადვილია, მაგრამ ჩემთვის ესეც საშინელებაა. რომ იცოდეთ როგორ მწყურია სიცოცხლე! როგორც კი ზუსტად 08.30 წუთზე სამჯერ მისცემს სიგნალს შავი „მერსედესი“, ფარდებს ჩამოვუშვებ და გაზის ონკანს გავხსნი. არ მინდა, მაგრამ ასე უნდა მოვიქცე. ძალიან გთხოვთ, მაპატიოთ, მაპატიოთ. სხვა გზა აღარა მაქვს. ეს სჯობია სახეში შემოსხმულ მჟავას.

მშვიდობით და მომიტევეთ“.

დასავლეთის პროპაგანდა ყოველნაირად ბერავს ი. პალახის თვითმკვლელობას, ძალ-ღონეს არ იშურებს რათა გაამწვავოს ვითარება ჩეხოსლოვაკიის გარშემო, ხოლო შიგ ქვეყანაში კი წააქეზოს ანტისოციალისტური ძალები ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის, რაც ხელს უშლის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ნორმალიზაციას. ახლა დასავლეთის პროპაგანდა ცდილობს საეჭვო გახადოს სტუდენტ ბანკა ნახაზელოვას წერილის უტყუარობა.

დასავლეთის პრესისაგან ეს მოსალოდნელიცაა, მაგრამ საკვირველია ჩეხოსლოვაკიის პრესის ზოგიერთი ორგანოს პოზიცია, რომლებიც იმის ნაცვლად, რომ ხელი შეუწყონ ამ ტრაგიკულ მოვლენებთან დაკავშირებული ყველა გარემოების ზუსტად და ბოლომდე გამორკვევას, ცდილობენ დათესონ ეჭვი, შეცდომაში შეიყვანონ ჩეხოსლოვაკიის საზოგადოებრიობა და ხელოვნურად შექმნან შფოთიანი ატმოსფერო, გამოიწვიონ ნერვიულობის, მერყეობის და შიშის გრძნობა.

ამავე დროს ჩეხოსლოვაკიის პრესა წერს, რომ იყო კიდევ რამდენიმე „თვითდაწვის ცდა“. დასავლეთის პროპაგანდის ცალკეულმა ორგანოებმა ეს ადამიანები ლამის პოლიტიკურ მებრძოლებად გამოაცხადონ. მაგრამ ჩეხოსლოვაკიის პრესაში გამოქვეყნებული მონაცემები ცხადყოფენ, რომ ასეთ ცდებს მიმართავდნენ სისხლის სამართლის დამნაშავენი, რათა თავიდან აეცილებინათ სასჯელი სხვადასხვა დანაშაულისათვის.

ამას წინათ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: „ექსტრემისტული ჯგუფები დღენიადაგ ზეგავლენას ახდენენ მთავრობასა და მის ორგანოებზე, უყენებენ ულტიმატურ და ამასთან ობიექტურად შეუსრულებელ მოთხოვნებს, რომლებსაც მოქალაქეთა ნამდვილი საჭიროებისაგან განსხვავებით სრულიად დაუსაბუთებლად ასაღებენ იანვრისშემდგომი პოლიტიკის მხარდამჭერის ღონისძიებებად.

მთავრობამ დაავალა შინაგან საქმეთა მინისტრს განახორციელოს საჭირო კონკრეტული ღონისძიებანი ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში წესრიგისა და სიმშვიდის უზრუნველყოფისა და იმ კამპანიების თავიდან აცილებისათვის, რომლებიც ეწინააღმდეგებიან ჩეხოსლოვაკიის კანონებს. პრაღაში შექმნილი რთული მდგომარეობის გამო, მთავრობამ დაავალა მას საჭირო ღონისძიებანი განახორციელოს იმათ წინააღმდეგ, ვინც საფრთხეს უქმნის მოსახლეობის სიმშვიდესა და უშიშროებას.

27 იანვარს ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ კანონის შესაბამისად საზოგადოებრივი უშიშროების მუშაკებმა განახორციელეს ღონისძიებები ქუჩებში წესრიგის დასამყარებლად. ამ ღონისძიებათა შედეგად ვაცლავის მოედანზე და კრაკოვისა და ოპლეტალოვის ქუჩების რაიონში აღკვეთეს საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევთა საქმიანობა, რამდენიმე ათეული ხულიგანი დააპატიმრეს.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს უთხრა საზოგადოებრივი უშიშროების საქალაქო სამმართველოს უფროსმა, პროკურატურის ორგანოებს გამოაქვთ დასკვნები დაპატიმრებულთა მიმართ მოქმედი კანონების შესაბამისად.

მსოფლიო დღეს

ქრონიკა ● პრობლემები

კინგი შეთქმულების მსხვერპლია?

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. საკდესის კორ. ს. ლოსევი იუწყება:

ახლოვდება 3 მარტი — ჯეიმს რეის საქმის გამო მემფისში სასამართლო პროცესის დაწყების თარიღი. როგორც ცნობილია, ჯეიმს რეის ბრალად ედება მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობა. ამ თარიღის მოახლოების კვალობაზე ზანგ ლიდერთა შორის ძლიერდება ეჭვი, რომ კინგი შეთქმულების მსხვერპლი გახდა.

კინგის მემკვიდრემ, ზანგთა ორგანიზაციის „სამხრეთში ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციის“ ლიდერმა მღვდელმა რალფ აბერნეტიმ ატლანტაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოსვლისას განაცხადა, რომ მონაცემების თანახმად, რომლებიც მას მემფისის ზანგთა თემის ხელმძღვანელებმა აცნობეს, მკვლელობაში მონაწილეობდა რამდენიმე კაცი და რომ ამ საქმეში, როგორც მთელი რიგი ნიშნები მოწმობს, გარეული იყო პოლიცია. თავდასხმამდე რამდენიმე ხნით ადრე, თქვა აბერნეტიმ, ორი ზანგი პოლიციელი, რომლებიც ლორეინის მოტოოტელის რაიონს პატრულობდნენ, სადაც კინგი შეჩერდა, სპეციალური ბრძანებით სხვა რაიონში გადაიყვანეს. ორი ზანგი მეხანძრე მოტოოტელის წინ მდებარე სახანძრო სადგურიდან, რომელიც მოთავსებულია პოლიციის უბანთან ერთ შენობაში, მკვლელობის საღამოს ცვლიდან მოხსნეს, სადაც მორიგეობას უნდა შესდგომოდნენ. ნავარაუდევი მკვლელის ავტომანქანის შესახებ ყალბი ინფორმაცია, რომელმაც შეცდომაში შეიყვანა მდევრები, გადაიცა პოლიციის რადიოთი.

მემფისში ხმები დადის, რომ კინგს როდი ესროლეს ღამის სათევიდან, სადაც რეი იმყოფებოდა, და რომ თავდასხმაში მას მეორეხარისხოვანი როლი ჰქონდა განკუთვნილი. როგორც ჟურნალი „პერეიდი“ წერს, სისხლის სამართლის დამნაშავე „რეი, რა თქმა უნდა, პაიკი იყო, და რომ არაფერი იცოდა ოპერაციის ნამდვილი ფინანსური მფარველებისა და მათი მოტივების შესახებ“.

გაზეთ „მიჩიგან კრონიკლის“ სპეციალური კორესპონდენტი ალფრედ დუკეტი აღნიშნავს: რომ იმათგან, ვისაც მემფისში ვესაუბრე, არც ერთს არ სჯერა, რომ ჯეიმს რეის განეზრახოს და მოეკლას კინგი მარტოდ მარტოს“. არსებობს თითქმის ერთსულოვანი თანხმობა, განაგრძობს დუკეტი, რომ შეთქმულთ მისცეს „ფანტასტიკური თანხა“.

კლეი შოუს გასამართლება გრძელდება

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. საკდესის კორესპონდენტი ს. ლოსევი იუწყება:

ახალი ორლეანის (ლუიზიანის შტატი) საოლქო სასამართლოში მეორე კვირაა გრძელდება ახალორლეანელი ბიზნესმენის კლეი შოუს გასამართლება, რომელსაც ბრალდება შეთქმულებაში მონაწილეობა პრეზიდენტ ჯონ კენედის მოკვლის მიზნით. დღემდე ყველა სხდომა მიეძღვნა ნაფიც მსაჯულთა შერჩევას: სასამართლომ განიხილა 362 კანდიდატურა და ჯერჯერობით დანიშნა 12 ნაფიც მსაჯულიდან 10, რომლებმაც უნდა გამოიტანონ განაჩენი შოუს დამნაშავეობისა და უდანაშაულობის შესახებ.

ახალი ორლეანის საოლქო პროკურორმა ჯიმ გარისონმა, რომლის ინიციატივითაც აღიძრა კლეი შოუს სასამართლო დევნა, სასამართლოში მიიწვია ტეხასის შტატის ყოფილი გუბერნატორი ჯონ კონელი და მისი ცოლი. როგორც უწყებაში ნათქვამია, კონელის ჩვენებები საშუალებას მისცემენ სასამართლოს დაადგინოს, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ავტომანქანას რამდენიმე წერტილიდან ესროდნენ. უორენის კომისია თავის მოხსენებაში ამტკიცებდა, რომ კენედი მოკლა მარტოხელა ტერორისტმა ლი ჰარვი ოსვალდმა, რომელიც ისროდა დალასის სასკოლო სახელმძღვანელოების საწყობის მეექვსე სართულის ფანჯრიდან. ჯონ კონელი, რომელიც თავდასხმის მომენტში კენედის ავტომანქანაში იჯდა, მძიმედ დაიჭრა მკერდში, ხელის მტევანსა და ბარძაყში.

მაგრამ ჯონ კონელიმ 28 იანვარს განაცხადა, არ მსურს ნებაყოფლობით დავაკმაყოფილო ჰარისონის თხოვნა და ახალ ორლეანში წავალ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტეხასის საოლქო სასამართლო მხარს დაუჭერს თხოვნას სასამართლოში გამოძახების შესახებ.

ახალ ორლეანში წასვლა ჩვენებების მისაცემად არ სურს აგრეთვე მაქმეინსს, რომელიც პროკურატურის ცნობით, 1963 წლის სექტემბერში მონაწილეობდა ყოფილი მფრინავის ფერის ბინაზე გამართულ „საღამოში“, სადაც ფერი, ოსვალდი და კლეი შოუ იხილავდნენ პრეზიდენტზე თავდასხმის დეტალებს.

დალასში მომხდარი ბოროტმოქმედების შემდეგ განვლილ წლებში სულ ცოტა 20 მოწმე, რომელთა ჩვენებებს არ ემთხვეოდა უორენის კომისიის დასკვნებს, დაიღუპა ან მოკვდა საიდუმლო ვითარებაში.

კენედის მოკვლიდან ხუთი წლის შემდეგ, წერს უკანასკნელ ნომერში ჟურნალი „რემპარტსი“, „შიშისაგან ვერ გათავისუფლებულან ქალები და მამაკაცები, რომლებმაც თუნდაც ცოტაოდენი სიმართლე იციან იმის შესახებ, რაც სინამდვილეში მოხდა 1963 წლის 22 ნოემბერს. დალასის შიში — ეს არის შიში სიცოცხლისათვის. ჩვენ იგი შევნიშნეთ იმათ თვალში, რომელთა გზები გადაკვეთა მკვლელობის მთავარ მონაწილეთა ბილიკმა.

უფრო მეტად, ვიდრე ყველა დამაჯერებელმა და კარგად დასაბუთებულმა წიგნმა ამ თემაზე, ამ შიშმა დაგვარწმუნა, რომ უორენის კომისია სტყუის. თუ ლი ჰარვი ოსვალდმა ყველაფერი მარტოხელამ ჩაიდინა, მაშინ რისღა ეშინიათ ამ ადამიანებს? ვისი ეშინიათ მათ?“

საფრანგეთი

პარიზში მუშაობა დაიწყო ოთხთა თათბირმა ვიეტნამის საკითხებზე. თათბირის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საიგონის ადმინისტრაციის დელეგაციები.

სურათზე: სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის დელეგაციის წევრები მისალმებაზე უპასუხებენ პარიზელებს, რომლებიც ხვდებიან მათ იმ შენობის შესასვლელთან, სადაც თათბირი იმართება.

ტელეფოტო იუპი — საკდესისა.

30 იანვარი
ტელეტაიპის ლენტიდან

პროვოკაციული მანევრი

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ორგანომ გაზეთმა „დეილი უორლდმა" გუშინ მტკიცე პროტესტი განაცხადა ამერიკის დიდი მანევრების „კარბაიდ აისის" წინააღმდეგ, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ეწყობა ჩეხოსლოვაკიის საზღვრის მახლობლად.

ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მანევრები, 10 მილზე პრაღიდან, რომელშიც ტანკები მონაწილეობენ, წერს გაზეთი, „წინასწარ განზრახული პროვოკაციაა" და ეწყობა ჩეხოსლოვაკიის ამასწინანდელი პროტესტის მიუხედავად.

სკანდალური მაქინაციები

ჟენევა, 30 იანვარი. (საკდესი). დაიწყო „ბიურლეს საქმის" ახალი ფაზა. გუშინ ბერნში გამოაცხადეს, რომ მთავრობამ სასამართლო ორგანოებს დაავალა დაიწყონ გამოძიება ციურიხის კომპანია „ბიურლეს" ხელმძღვანელთა ჯგუფის საქმის გამო, რომელსაც ბრალად სდებენ შვეიცარიიდან იარაღის უკანონო ექსპორტს არსებული კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ.

წინასწარი გამოძიების შედეგებით, კომპანია „ბიურლეს" ურცხვმა საქმოსნებმა ყალბი საბუთებისა და ფალსიფიკაციის საშუალებით გაყიდეს 88,7 მილიონი ფრანკის იარაღი და სამხრი მასალა, მათ შორის თითქმის 53 მილიონი ფრანკისა მიჰყიდეს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას და 19,5 მილიონი ფრანკისა — ისრაელს.

ბევრი ფიქრობს, რომ ამ მაქინაციების სკანდალური ხასიათი ზიანს აყენებს შვეიცარიის, როგორც ნეიტრალური ქვეყნის, სტატუსს.

მღელვარება პაკისტანში

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. (საკდესი). გუშინ პაკისტანში გაიმართა მთავრობის საწინააღმდეგო ახალი დემონსტრაციები, რომლებიც მოაწყეს სტუდენტებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა. ამას იუწყება ყარაჩიდან იუნაიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტოს კორესპონდენტი.

გუჯრანვალის (ლაჰორის ახლოს) რკინიგზის სადგურზე დემონსტრანტებსა და პოლიციას შორის მომხდარი შეტაკების დროს პოლიციამ გამოიყენა ცრემლსადენი გაზები და სასროლი იარაღი. წინასწარი მონაცემებით, დახოცილია სამი და დაჭრილია რამდენიმე კაცი. ოლქში შემოღებულია სადღეღამისო კომენდანტის საათი. კიდევ 72 საათით გაუგრძელეს ვადა კომენდანტის საათს ლაჰორში.

კომენდანტის საათი ძალაში რჩება აგრეთვე დაკაში, ჩიტაგონგში, ნარაიანგანჯსა (აღმოსავლეთ პაკისტანი) და ყარაჩის მთელ რიგ რაიონებში.

დაპატიმრებანი ესპანეთში

პარიზი, 30 იანვარი. (საკდესი). ესპანეთის პოლიცია იძულებული გახდა იერიში მიეტანა სარაგოსის უნივერსიტეტის შენობაზე, სადაც ბარიკადები ააგეს სტუდენტებმა პროტესტის ნიშნად იმის წინააღმდეგ, რომ სახელმწიფოში შემოიღეს საგანგებო წესები. ოცამდე სტუდენტი დაპატიმრებულია. ამას იუწყება დღეს გაზეთი „ლუმანიტე".

მადრიდიდან მიღებული ცნობებით, დედაქალაქში დაპატიმრებულია კიდევ 22 კაცი — მუშა აქტივისტი.

კოლონიზატორთა ხარჯები

ნიუ-იორკი, 30 იანვარი. (საკდესი). ლისაბონში გამოშვებული ოფიციალური ბიულეტენის თანახმად, პორტუგალიის მთავრობას დაგეგმილი აქვს წელს 1.289.860.000 ესკუდო (45.145.000 დოლარი) მოახმაროს თავისი შეიარაღებული ძალების შენახვას ანგოლაში. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი.

პორტუგალიას ანგოლაში ჰყავს 60 ათასი ჯარისკაცი აჯანყებულთა წინააღმდეგ საბრძოლველად.



ჰიდროტექნიკოსები — ენგურჰესის მშენებლებს

მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები ყოველდღიურ პრაქტიკულ დახმარებას უწევენ ამიერკავკასიაში უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის მშენებლებს. თბილისის ა. ვ. ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა ლაბორატორიაში შექმნილია უნივერსალური სტენდი ენგურის 271,5 მეტრი სიმაღლის თაღოვანი კაშხალის მოდელის გამოსაცდელად. ამ სტენდზე ამას წინათ დასრულდა თაღოვანი კაშხალის მოდელის გამოცდა, რის შედეგადაც გამოვლინდა უნიკალური ნაგებობის მუშაობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი თავისებურებანი.

მშენებლებმა კაშხალის სხეულში 4 მილიონამდე კუბური მეტრი ბეტონი უნდა ჩაასხან. ბეტონის გამაგრების პროცესში მნიშვნელოვანი რაოდენობით გამოიყოფა სითბო, რაც იწვევს ბეტონის ნაშენის 45-50 გრადუსამდე გახურებას. ბუნებრივ გაცივებას დასჭირდებოდა ათობით წელი და ამასთანავე გამოიწვევდა ნაპრალების წარმოშობას. ამიტომ კაშხალის სხეულში ჩაატანენ 2 ათას კილომეტრამდე მილებს, რომლებშიც სამაცივრო აგრეგატების საშუალებით გაედინება გაცივებული წყალი.

სურათებზე: ქვემოთ, მარცხნიდან მარჯვნივ — უფროსი მეცნიერი მუშაკი ვ. ლოლობერიძე, ლაბორატორიის ხელმძღვანელი გ. ჩილინგარიშვილი და ჯგუფის ხელმძღვანელი ინჟინერი მ. დადიანი განიხილავენ ლაბორატორიის ექსპერიმენტული ბაზის გაფართოების საკითხს ენგურჰესის ნაგებობათა შემდგომი კვლევისათვის; ზემოთ — ლაბორატორიაში მიმდინარეობს ენგურის თაღოვანი კაშხალის მოდელის გამოცდა.

ფოტო ვ. მორგუნოვისა
(საქდესის ფოტოქრონიკა)

პირველად რესპუბლიკაში

რუსთავი. (საკ. კორ.). ლენინგრადელთა მაგალითისამებრ მეტალურგთა ქალაქში გაიხსნა პურის მექანიზებული მაღაზია. აქ მოქმედებს მძლავრი ტრანსპორტიორი, რომლითაც პურს განუწყვეტლივ აწოდებენ სავაჭრო დახლებს. აღსანიშნავია, რომ დახლიც მექანიზებულია.

რამდენიმე ასეთ მექანიზებულ დახლზე ლაგდება პურეულის მრავალფეროვანი ასორტიმენტი. მომხმარებელი სურვილისამებრ იღებს პურს და გამყიდველთან კი აღარა აქვს საქმე, არამედ, უშუალოდ მოლარესთან. გამყიდველები კი აქ საერთოდ აღარ არიან.

120 წლის სკოლა

ზეიმი სოფელ გოჩა ჯიხაიშში

წულუკიძე. გოჩა ჯიხაიშის სკოლა ერთ-ერთი უძველესია საქართველოში. 120 წლის წინათ აქაური გლეხის შვილებს პირველად გადაუშალა წიგნი და შეასწავლა ანბანი ამავე სოფლის მკვიდრმა ლუკა ჩომახიძემ. იგი იყო ამ სკოლის დამაარსებელიც და პირველი მასწავლებელიც.

ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის წლებში სოფლის ამ დაწყებითს სკოლას თვით ხალხი ინახავდა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში კი აქ გაიხსნა საშუალო სკოლა, ხოლო პატარა ჯიხაიშში — რვაწლიანი სკოლა.

ამ დღეებში ჯიხაიშელებს ნამდვილი სახალხო ზეიმი ჰქონდათ. სასოფლო კლუბში თავი მოიყარეს სკოლის აღზრდილებმა.

შეკრებილებმა მოისმინეს საინტერესო მოხსენება სკოლის განვლილი გზის შესახებ. აგრეთვე სკოლის ყოფილი მოსწავლეების, ახლა ცნობილ ადამიანთა, მოგონებები, განათლების სხვა მუშაკთა და თვით სკოლის მუშაკთა სიტყვები.

ზეიმის მონაწილეებმა ინახულეს და თაიგულებით შეამკეს ლ. ჩომახიძის საფლავი.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

ვ. მ. გაბრიელიანი

გარდაიცვალა საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიონული კომიტეტის მეორე მდივანი, ახალგაზრდა პარტიული მუშაკი, სკკპ წევრი 1955 წლიდან ვლადიმერ მარკოზის-ძე გაბრიელიანი.

ვ. მ. გაბრიელიანი დაიბადა 1931 წლის 23 მაისს ახალქალაქის რაიონის სოფელ დილისკაში, მოსამსახურის ოჯახში.

1953 წელს ვ. მ. გაბრიელიანმა დაამთავრა ქუთაისის წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი და შრომითი ცხოვრება დაიწყო მშობლიურ სოფელში, სადაც რუსულ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა რვაწლიან სკოლაში.

1954 წლის მარტში ახალგაზრდა პედაგოგი აირჩიეს საქართველოს ალკკ ახალქალაქის რაიკომის პირველ მდივნად. კომკავშირულ სამუშაოზე ვ. მ. გაბრიელიანმა თავი გამოიჩინა როგორც სოფლის ახალგაზრდობის გულისხმიერმა აღმზრდელმა, უნარიანმა ორგანიზატორმა. 1958 წლიდან იგი იყო საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სრულიად საკავშირო ალკკ XIV ყრილობის დელეგატი.

1962 წლიდან ვ. მ. გაბრიელიანი პარტიულ სამუშაოზეა. იყო საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს პარტიული კომიტეტის მდივნის მოადგილე, ხოლო 1965 წლის იანვარში იგი აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის მეორე მდივნად. ამ თანამდებობაზე იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებამდე მუშაობდა.

ვ. მ. გაბრიელიანი არაერთხელ აურჩევიათ საქართველოს კომპარტიის ახალქალაქის რაიკომის ბიუროს წევრად, რაიონული საბჭოს დეპუტატად. თავისი თავისადმი პრინციპული და მომთხოვნი, იგი მუდამ გამოირჩეოდა თავმდაბლობით, ამხანაგებისადმი გულთბილი დამოკიდებულებით, სარგებლობდა სიყვარულითა და პატივისცემით.

წარმატებით მუშაობისათვის ვ. მ. გაბრიელიანი დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელით და მედლით.

ვ. მ. გაბრიელიანის, ენერგიული და ერთგული პარტიული მუშაკის, კარგი ამხანაგის ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი

პოლარული მფრინავი

1968 წლის 26 ივნისს სამოქალაქო ავიაციის საქართველოს ტერიტორიულმა სამმართველომ და ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოებამ საქართველოს მფრინავთა მეორე შეკრება მოაწყო. მოწვევა სხვებთან ერთად გაეგზავნა განსაკუთრებული დანიშნულების ცალკეული რაზმის ყოფილ მეთაურს პ. ლეპერტს.

და აი თბილისის ოფიცერთა სახლში სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის თადარიგის გენერალ-მაიორ ნ. კალაძისა და დედაქალაქის კომკავშირული ორგანიზაციის სახელზე მოსკოვიდან მისი ბარათი მოვიდა.

პ. ლეპერტი იტყობინებოდა, რომ სხვადასხვა მიზეზის გამო შეკრებას ვერ დაესწრებოდა, მაგრამ შეკრების მონაწილეებს საინტერესო ცნობას აწვდიდა ყოფილი ქართველი პოლარული მფრინავის შალვა მეტრეველის შესახებ.

აი რა ეწერა ბარათში:

„თავს მოვალედ ვთვლი მოგითხროთ ჩემს მეგობარზე, მის საფრენოსნო მუშაობაზე არქტიკის მკაცრ პირობებში.

ეს ადამიანი ბუნებით ძალიან თავმდაბალია და არ უყვარს თავის თავზე ლაპარაკი. და, აი, მე მინდა შევახსენოთ და შევავსო ეს დანაკლისი.

იგი მოვიდა ჩემთან მზიური საქართველოდან, სადაც მთელი წლის განმავლობაში თბილა, სიმწვანეა და მიდამო ჰყვავის. მე მაშინ ვხელმძღვანელობდი სპეციალური დანიშნულების ცალკე საავიაციო რაზმს, რომელიც ასრულებდა საწარმოო და საგამოკვლეო სამუშაოებს ჩვენი სამშობლოს ჩრდილოეთში.

შალვა გიორგის-ძე მეტრეველს რთული სამუშაო უნდა შეესრულებინა არქტიკის მკაცრ პირობებში. პირველად მას ვავარჯიშებდი ურალის მაღალმთიან ადგილებზე, შემდეგ კი სამხრეთის მფრინავმა თვითონ აილო დამოუკიდებელი კურსი ყინულების სამეფოს — საბჭოთა არქტიკის მიმართულებით. მან გადაწყვიტა დიდი სიძნელეების მიუხედავად გაეკაფა გზა ამ დაუნდობელ ყინულოვან მხარეში ავიატორთა მომავალი თაობებისათვის.

აეროდრომი იქ არ არსებობდა. არც რადიოკავშირის დამყარება შეიძლებოდა. დაჯდომა ხდებოდა ყველაზე ძნელ ადგილებში საკუთარი რისკითა და გამოცდილებით. ეს რისკი იგულისხმებოდა იმაში, რომ თუ მფრინავი თვითმფრინავს დასმისას დააზიანებდა ან ავარია მოუხდებოდა, იქიდან ფეხით ვერ გამოაღწევდა და ყველაფერი ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდებოდა. შალვა მიფრინავდა, მიჰყავდა გეოლოგიური ექსპედიციების მუშაკები, მიჰქონდა მათთვის სურსათ-სანოვაგე და ტვირთი. საშას (ასე ეძახდნენ მას) ყველგან მოუთმენლად ელოდნენ როგორც იმედს, როგორც დიდ მეგობარს. იგი ფრინავდა ისე გაბედულად, რომ ხანდახან არღვევდა კიდეც ფრენის ნორმატივებს... ფრინავდა საშინელ ქარბუქში. იმ დროს, როცა სხვა გამოცდილი მფრინავები ადგილიდან დაძვრას ვერ ბედავდნენ, შალვა მიფრინავდა უშიშრად, უკან მოუხედავად. ზოგჯერ რისკის გაწევის გამო ჩემგან სასჯელიც კი მიუღია.

პირველი ფრენა ურალის ყველაზე მაღალმთიან ნაწილში მოხდა სოლიკამსკიდან ივდელამდე. ეს ტრასა მან პირველმა გაკაფა. იგი დღეს ყველა მფრინავისთვის ღიაა. ჩრდილოეთ ურალის მთაგორიან ადგილებში, ტუნდრაში, ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანის ნაპირებზე თვითმფრინავის პირველი დაჯდომა მოახდინა შალვამ, პოლარულმა მფრინავმა, ქართველი ხალხის ერთადერთმა წარმომადგენელმა.

შალვა მეტრეველი ღირსია დიდი, ღრმა პატივისცემის და დიდებისა, რადგან ის ადგილები, სადაც ოდესლაც იგი ფრინავდა, ახლა ისეთი როდია. დღეს იქ მრავალი ქალაქი გაშენდა. ყინულოვან, თოვლიან მთებზე თანამედროვე, კეთილმოწყობილი აეროდრომებია... იმ ტრასებზე კი, რომლებიც შალვა მეტრეველმა განსაკუთრებით ძნელ პირობებში გაკაფა, ახლა რეაქტიული სამოქალაქო საჰაერო ლაინერები დაფრინავენ.

ამ ტრასის პირველი გამხსნელი იყო ქართველი ხალხის შვილი შალვა გიორგის-ძე მეტრეველი.

ნუთუ მას არ ენატრება კვლავ იხილოს, ჩიტის საფრენის სიმაღლიდან მაინც, ის ძნელად მისადგომი ადგილები, სადაც ოდესლაც ასე გაბედულად ფრინავდა? იმ ადგილებს ველარც კი იცნობს. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის გიგანტურმა ნახტომმა სახე უცვალა არქტიკას. ოდესლაც მივარდნილ, გაუვალ მხარეში, სადაც მან გადასხა პირველი გეოლოგიური საექსპედიციო ჯგუფი, სადაც თვითმფრინავს დასვამდა ხოლმე მიუვალი ტაიგის გულსა თუ ტუნდრაში — ახლა აშენებულია გიგანტური საწარმოები...

ტიუმენის ნავთობის მიღება-გადამუშავებასა თუ საჩეხარდსკის გაზისა და სოლიკამსკისა თუ ჩრდილოეთ ურალის რაიონებში ძვირფასი ქვების მოპოვებაში დიდი დამსახურება მიუძღვის შალვა მეტრეველსაც.

ალბათ თვითონაც ვერ წარმოუდგენია, რა წვლილი შეიტანა მან ჩვენი სამშობლოს უკიდურესი ჩრდილოეთის ათვისებაში.

დიდი მწუხარებით მაგონდება ის დღე, როცა სამედიცინო კომისიამ დაადგინა ჯანმრთელობის არასასურველი მდგომარეობის გამო შ. მეტრეველს ფრენისათვის თავი დაენებებინა. არწივმა ფრთები დაკეცა და ძირს დაუშვა. მფრინავისათვის კი ასეთი რამ ყოველთვის დიდად სამწუხაროა. მისთვის, ჩემი აზრით, დღესაც არ დამთავრებულა ეს გულისტკივილი.

მე მას ისე ახლოს ვიცნობ, რომ ვიცი, წარმომიდგენია მისი განცდა და გულისტკივილი, მაგრამ რას იზამ? ცხოვრებაში არის ისეთი რთული მოვლენები, რომლებზეც ჩვენ გამარჯვება არ შეგვიძლია.

სპეციალური დანიშნულების ცალკეული რაზმის ყოფილი მეთაური.
პ. ლეპერტი".

როცა ამ წერილს გავეცანით, გადავწყვიტეთ გვენახა ჩვენი თანამემამულე, არქტიკაში ფრენის პიონერი, რომელიც თურმე აქვე, თბილისში, ჩვენს გვერდით ყოფილა. შალვა მეტრეველს ბინაზე ვეწვიეთ. ყოფილი მფრინავი ხელში პალიტრითა და ფუნჯით დაგვხვდა. იგი გატაცებით ხატავდა მეგობრის სურათს. ოთახის კედლებს მრავალი ფერწერული ტილო ამშვენებდა...

ძუნწად გვიამბო შალვამ თავისი თავგადასავალი...

1935 წელს თბილისის ქიმიური ტექნიკუმის III კურსის სტუდენტი პარალელურად სწავლას განაგრძობდა აეროკლუბში. იგი მალე დაეუფლა თვითმფრინავ „უ-2"-ის მართვას და მისმა ყურადღებიანმა ინსტრუქტორმა — ჩინჩალაძემ უკვე მეთორმეტე გაფრენაზე დამოუკიდებლად გაუშვა ცაში...

ამ დროს თბილისის აეროკლუბმა მიიღო ექვსი ადგილი უმაღლესი პილოტაჟის ერთ-ერთ სასწავლებელში. აეროკლუბის უფროსმა მეტრეველს ექსტერნად ჩააბარებინა მთელი კურსის პროგრამა და სასწავლებელში გაგზავნა. ორ წელიწადში დაამთავრა მან საფრენოსნო და ავიატექნიკის გაერთიანებული სკოლა. აქედან საქართველოში გაანაწილეს, სადაც აეროკლუბის საფრენოსნო ნაწილის უფროსად მუშაობდა. დიდხანს არ გაჩერებულა საქართველოში, მალე რუსეთში გაემგზავრა უფრო რთულ და მამაცურ საქმეებზე ოცნებით გატაცებული.

შალვა დაუახლოვდა ცნობილ პოლარულ მფრინავს, ავიაციის დარგში საუკეთესო პედაგოგს პავლე ლეპერტს, რომელიც იმ დროს სპეციალური დანიშნულების ცალკეული რაზმის მეთაურად მუშაობდა. ლეპერტმა ეს ნიჭიერი ყმაწვილი წარუდგინა სამოქალაქო ავიაციის მთავარი სამმართველოს უფროსს, საბჭოთა კავშირის გმირს, ჩელუსკინელთა ექსპედიციის მშველელს ვ. მოლოკოვს. მან სპეციალური საგამოცდო კომისია შექმნა. შალვამ ბრწყინვალედ ჩააბარა გამოცდა და III კლასის პილოტის წოდება პირველმა სწორედ ვ. მოლოკოვმა მიულოცა. მეტრეველი ჩარიცხეს იმ სპეციალურ რაზმში, რომელსაც პავლე ლეპერტი ხელმძღვანელობდა. მისი ფრენის ასპარეზი დღითიდღე იზრდებოდა. არხანგელსკი, მურმანსკი, ბელომორსკი, კუნძული ამდერმა, ახალი მიწა, და ვინ მოსთვლის პოლარეთის რომელ ყინულოვან მხარეში არ უფრენია მას, ჩრდილოეთში, სადაც ამინდი დღეში რამდენჯერმე იცვლება და ყველაზე ძლიერი ქარბუქები იცის. სწორედ მიუვალ ივდელზე მოჰყვეტილი საექსპედიციო ჯგუფისათვის მიჰქონდა მას სანოვაგე, როცა მთელი დღეების განმავლობაში არ ცხრებოდა ქარბუქი. ბოლოს და ბოლოს ფრენა შეუძლებელი გახდა, შალვას კი გული სტკიოდა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დროებით მოსწყდნენ „დიდ მიწას". დაკავშირება კი არსაიდან არ ხერხდებოდა.

შალვამ თავისი ინიციატივით აიყვანა ცაში თვითმფრინავი, დათოვლილ გოროზ მთებს ვაჟკაცურად შეებრძოლა და იქ, სადაც არასოდეს არავის არ უფრენია, თავის მიზანს მიაღწია.

მის შემდეგ ეს უმოკლესი საჰაერო ტრასა ყოველდღიური სარეიდო საჰაერო მიმოსვლის საშუალება გახდა.

როგორც ლეპერტი წერს, შალვას მართლაც არ უყვარს თავის თავზე ბევრი ლაპარაკი. თავმდაბალი და უანგარო მშრომელია. ამჟამად იგი თბილისის მესამე ტაქსომოტორების კანტორაში მუშაობს მექანიკოსად.

შეკითხვაზე მან მოკლედ გვიპასუხა: ისეთი განა რა გავაკეთე? მფრინავი ვიყავი და ვფრინავდი. ვალს ვიხდიდი. ჩემი მეგობრები გმირები გახდნენ — მაგუბა სირტლანოვა, დ. ჯაბიძე, ზ. ხითარიშვილი, ბ. ლიტვინჩუკი, გ. თვაური, გ. ინასარიძე; თავის დროზე სახელოვანი მფრინავები იყვნენ გ. დავითაშვილი, ფადიმე გოგიტიძე, ვ. მაიაროვსკაია, კლავა სერებრიაკოვა, ო. კაპანაძე, ევგ. ლევიცკი, ლ. თალაკვაძე, ა. გოგლიძე (ამჟამად აეროპორტის უფროსია), შ. ახალაძე, ა. ბარკალაია, გ. ერისთავი, ჟ. ზაქარეიშვილი, ს. გოჩიტაშვილი, (იგი ახლაც ფრინავს) და სხვები. მე რატომ შევარცხვინდი მათ სახელს? როგორც ერთმა ქართველმა, მეც მოვიხადე ვალი...

ჩვენს საუბარში კანტორის დირექტორი მ. ფირცხალავაც მონაწილეობდა. მან ხუმრობით ჰკითხა შალვას — ახლა თუ იფრენ, რომ გაგიშვანო..."

შალვას თვალებში ცეცხლმა გაუელვა, მაგრამ უცებ ჩაქრა.

— თუ კი გამიშვებენ, უარს რაზე ვიტყვი?...

დოდო ზურაბიშვილი.

„სპარტაკი" თუ „დინამო"?

უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების საკავშირო ჩემპიონატზე გუშინწინ და გუშინ შედგა მორიგი ტურის მატჩები.

პირველობის ლიდერს ლენინგრადის „სპარტაკს" მეორე შეხვედრა ჰქონდა ალმა-ატაში ადგილობრივ „ლოკომოტივთან" და კვლავ გაიმარჯვა, ამჯერად 68:63.

მეორე მატჩი გამართეს აგრეთვე კიევის არმიის სასპორტო კლუბის კალათბურთელებმა რიგაში ვეფ-თან. აქაც წარმატება სტუმრებს ხვდათ ანგარიშით 81:71.

გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები თბილისის „დინამო" და „ბურევესტნიკი". გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 95:63 (52:46).

დინამოელები კაუნასში მიემგზავრებიან, სადაც 4 და 5 თებერვალს შეხვდებიან ადგილობრივ „ჟალგირისს".

ახლა გადავხედოთ მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობას:

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 31 იანვრისათვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლ.)	16	13	3	1169-1065	13
„დინამო" (თბ.)	14	12	2	1112-1038	12
ცსკა	16	10	6	1174-1139	10
„სტროიტელი" (კ.)	16	10	6	1157-1117	10
„ჟალგირისი" (კაუ.)	12	9	3	871- 809	9
სკა (კ)	18	9	9	1214-1198	9
„დინამო" (მ.)	18	8	10	1230-1206	8
„კალევი" (ტ.)	14	7	7	1009-1008	7
„ბურევესტნიკი" (თბ.)	14	5	9	949- 997	5
სკა (რ.)	15	4	11	1058-1114	4
ვეფი (რ.)	17	3	14	1118-1224	3
„ლოკომოტივი" (ალმ.)	17	3	14	1160-1306	3

ორი ტური დარჩა

ვეიკ ან ზეეს საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა. მე-13 ტურში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მსოფლიოს ექს-ჩემპიონის ბოტვინიკისა და გელერის შეხვედრები ბენკოსა და ლანგევეგთან. ეს პარტიები ყაიმით დამთავრდა. ბოტვინიკმა, რომელსაც პორტიშთან გადადებულ პარტიაში პაიკი აკლდა, შეძლო ყაიმისათვის მიეღწია.

13 ტურის შემდეგ ტურნირს ორი ლიდერი ჰყავს. — მ. ბოტვინიკი და ე. გელერი, რომლებსაც 9,5-9,5 ქულა აქვთ.

ოსტატთა ტურნირში მსოფლიოს ჩემპიონმა გაფრინდაშვილმა მორიგი ტურის პარტია ჰოლანდიელ ოსტატ ბრედევოუტთან გადადო, ხოლო ოსტატ ვესტერინენთან პარტია ყაიმით დაამთავრა და ახლა 3,5 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

მორეირას აკრიტიკებენ

ბრაზილიის სპორტული პრესა მკაცრად აკრიტიკებს ეროვნული ნაკრების მწვრთნელს აიმორე მორეირას. მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა — ბრაზილიელმა ფეხბურთელებმა თავის მოედანზე ფრედ ითამაშეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა (2:2) და იუგოსლავიის (3:3) გუნდებთან, მორეირას მძიმე დღეები დაუდგა.

მიმომხილველები ბრაზილიის ნაკრების თამაშს უნიათოსა და შეუხედავს უწოდებენ. მათ მიაჩნიათ, რომ ასეთი თამაშით ბრაზილიელებს არავითარი შანსი არა აქვთ მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში. ახლა ყველა ბრაზილიელი მიმომხილველი ერთხმად მოითხოვს მორეირას გადადგომას.

მატჩი ვინიპეგში

მორიგი, რიცხვით მეექვსე მატჩი კანადაში საბჭოთა ჰოკეისტებს ჰქონდათ ვინიპეგში კანადის ნაკრებთან. მასპინძელთა გუნდი გაძლიერებული იყო პროფესიული მოთამაშეებით. და მაინც წარმატება საბჭოთა გუნდს ხვდა ანგარიშით 3:2.

ფინალში გავიდნენ

ლენინგრადში დასასრულს უახლოვდება ჩვენი ქვეყნის უძლიერეს ჩოგბურთელთა ზამთრის ტრადიციული ასპარეზობა.

29 იანვარს გუნდური პირველობის ნახევარფინალში მოსკოვის ჩოგბურთელთა ძლიერ კოლექტივს პაექრობა ჰქონდა ლენინგრადის გუნდთან და გაიმარჯვა ანგარიშით 5:1. ერთადერთი გამარჯვება ლენინგრადელებს მოუტანა ა. ივანოვმა, რომელმაც მოუგო ვ. ეგოროვს 7:5, 6:3.

ესტონეთისა და რსფსრ-ის გუნდების შეხვედრაში წარმატება ესტონელებს ხვდათ 5:2.

ამრიგად, ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან მოსკოვისა და ესტონეთის გუნდები.

უკანასკნელი ტურის წინ

ალმა-ატაში საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა.

უკანასკნელისწინა მე-18 ტურში, რომელიც 29 იანვარს შედგა, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ლიდერების ა. ზაიცევისა და ლ. პოლუგაევსკის პარტია. მეტოქეებმა თავი აარიდეს ზედმეტ რისკს და უკვე მე-19 სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ.

არანაკლებ საინტერესო გამოდგა გროსმაისტერ ხოლმოვისა და ოდესელი ოსტატის პოდგაეცის შეხვედრა. აქაც 36-ე სვლაზე ყაიმი აღინიშნა. ცეშკოვსკიმ დაამარცხა ი. ზაიცევი, ლუტიკოვმა — ჩერეპკოვი.

კიდევ ორ პარტიაში შეთანხმდნენ მეტოქენი ყაიმზე. ესენი იყვნენ ბაგიროვ-ლიბერზონი და პლატონოვ-ოსნოსი. ტალ-სახაროვის, ლეინ-ვასიუკოვის, კლოვან-გურგენიძისა და ავერბახ-ნიკიტინის პარტიები გადაიდო.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. ბრძოლის განუახლებლად ოსნოსი ყაიმზე შეუთანხმდა ბაგიროვს, გურგენიძე — პლატონოვს.

გამოტოვებული პარტიის დამთავრებისას პოლუგაევსკიმ დაამარცხა ი. ზაიცევი და დაეწია ლიდერს — ა. ზაიცევს. ახლა თვითეულ მათგანს 12 ქულა აქვს. დღეს უკანასკნელ ტურში პოლუგაევსკი ხვდება ტალს, ა. ზაიცევი — ი. ზაიცევს.

ფეხბურთის ამბები

ლესელიძეში გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში ქუთაისის „ტორპედოსა" და დნეპროპეტროვსკის „დნეპრის" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს დნეპროპეტროვსკელებმა 3:0.

გუშინ გაგრაში სსრ კავშირის ჩემპიონმა კიევის „დინამომ" ამხანაგურ მატჩში დაამარცხა ლენინგრადის „ზენიტი" 3:1.

რამდენიმე სტრიქონით

● ოტპაიაში გაიმართა თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელთა და ორჭიდელთა დიდი ტურნირის ზონალური შეჯიბრება. ტრამპლინიდან ხტომაში ბადალი არ ჰყავდა ჩვენს თანამემამულეს ვეტერან კ. წაქაძეს. იგი პირველად გადახტა 69 მეტრზე, მეორეჯერ 70,5 მეტრზე და ორივეჯერ ტრამპლინის ახალი რეკორდი დაამყარა.

● თბილისის ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში მიმდინარეობს „ა" კლასის მეორე ჯგუფის ფრენბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობა. მორიგ ტურში თბილისის „ბურევესტნიკმა" დაამარცხა ერევნის „დინამო" 3:0, გროზნოს „სპარტაკმა" აშხაბადის „ზახმეტი" 3:0. ლიდერობას სპარტაკელები ინარჩუნებენ.

● ბათუმში სტუდენტ მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობაზე 4 ტურის შემდეგ ლიდერობენ თ. გიორგაძე და კუპრეიჩიკი, რომლებსაც 3-3 ქულა აქვთ.

● ვილნიუსში გრძელდება მატჩი ასუჯრედიან შაშში ჩვენი ქვეყნის პირველობაზე რიგელ საერთაშორისო გროსმაისტერ ა. ანდრეიკოსა და მინსკელ საერთაშორისო ოსტატ ა. განტვარგს შორის.

გათამაშდა ორი ტური. მეორე ტურში მეტოქენი 45-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიშია 1,5:0,5 ა. ანდრეიკოს სასარგებლოდ.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

რადიო

1 თებერვალი

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — შ. თაქთაქიშვილი. ნაწყვეტები ბალეტ „მალთაყვადან", 06.50 — „სოფლის დილა", 07.30 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი", 08.10 — განცხადებები, 08.30 — საოპერეტო მუსიკა, 09.30 — რესპუბლიკური გაზეთების ფურცლებზე, 10.15 — „გამარჯობა, ამხანაგო!", 11.05 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 11.45 — კ. დებიუსი. ექვსი ანტიკური ეპიგრაფი სიმფონიური ორკესტრისათვის, 12.00 — ციკლიდან „მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებში". საუბარი „მეგობრობამ საზღვარი არ იცის", 12.10 — ს. მირიანაშვილი. სიმღერები, 12.30 — მოსწავლეთათვის. გაზეთ „ნორჩი ლენინელის" ფურცლებზე, 12.45 — ფ. კორელი. კონცერტი, 13.30 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — სავიოლინო პიესები ი. ბეზროდნის შესრულებით, 14.00 — „მხიარულ ტალღაზე", 14.30 — ს. რახმანინოვი. პირველი საფორტეპიანო კონცერტი. სოლისტი ს. რიხტერი. 15.00 — გადაცემა „ხელოვნება და ესთეტიკური აღზრდის საკითხები", 16.15 — კონცერტი ციკლიდან „საკონცერტო დარბაზებსა და თეატრებში", 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — მუსიკის საათი ბავშვებისათვის, 18.10 — ს. ცინცაძე. ნაწყვეტები ბალეტ „დემონიდან", 18.30 — რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე, 18.45 — თბილისის სამგზავრო ტრანსპორტის სამმართველოსთან არსებული ვოკალური ჯგუფის კონცერტი, 19.00 — „ლენინური ალმანახი", 19.30 — ბ. კვერნაძე. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 20.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 20.20 — ჩვენი კომენტარი (მოსკოვი), 20.30 — „ჩვენი მასპინძელია თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ახალგაზრდობა", 21.00 — „ძილისპირული", 21.10 — რ. გვეტაძე. „ჭიაკოკონა". ნაწყვეტები რომანიდან, 21.45 — საერთაშორისო დღიური (მოსკოვი), 22.00 — ს. პროკოფიევი. კამერული მუსიკა, 22.50 — მსუბუქი საორკესტრო პიესები, 23.30 — ა. კერესელიძე. ნაწყვეტები ოპერა „ბერუჩადან", 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ტელევიზია

31 იანვარი

11.05 — სკოლამდელთათვის „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად", 11.15 — კინოპროგრამა, 11.55 — მხატვრული ფილმი „ადამიანი დაიბადა", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.20 — განცხადებები, 18.25 — ჩვენ ინგლისურს ვსწავლობთ, 18.45 — ჩვენი სტუმრები, 19.05 — კინონარკვევი, 19.15 — გადაცემა „ძიების გზებით", 19.30 — კინონარკვევი, 19.40 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი, 19.55 — კინონარკვევი, 20.15 — ლიტერატურული თეატრი „მოთხრობები ლენინზე", 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის „სტუდენტთა საერთო საცხოვრებელში", 21.35 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის კინოდარბაზი. მხატვრული ფილმი „ომი და მშვიდობა" (მეოთხე სერია), 23.05 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.15 — „სპორტული სამყარო იქო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 23.45 — „ცირკი — სტუდიაში" (გადმოცემა მოსკოვიდან). 00.45 — „მხოლოდ ფაქტები" (გადმოცემა მოსკოვიდან).

ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი 17 ს. 55 წ.

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

31 იანვარი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — რიგოლეტო. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — გვადი ბიგვა, მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — სიყვარული სახუმარო არ არის, ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — საბედისწერო ოპერაცია, მოზარდ მაყურებელთა ქართული — ნუ გეჩქარებათ სიცილი (№ 31 აბონ. საღ. 6 ს.).

კომუნისტი

თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443

უე 07341

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.